

წლიური ანგარიში



ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2018



წლიური ანგარიში

ადამიანის უფლებების მდგომარეობა
საქართველოში, 2018



თბილისი, 2019

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ანგარიშის ავტორი: მარიამ ბაქარეიშვილი

რედაქტორი: ალექო ცეციტიშვილი

თარგმანი: ნინო ცაგარეიშვილი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: კრისტიან გრზივატბ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48 ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.

ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

სარჩევი

შესავალი	5
ცვლილებები და ხარვეზები კანონმდებლობაში.....	6
ქორწინების განმარტება კონსტიტუციის ახალი რედაქციით	6
ცვლილებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში	7
უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლება	8
ფემიციდი	8
პროკურატურის რეფორმა	9
ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტები სიძულვილის ნიადაგზე.....	10
სასამართლო ხელისუფლება.....	11
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დატოვება ...	12
მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა	13
სამართალდამცველთა სავარაუდო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება	15
ზვიად კუპრავას საქმე	15
ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმე	16
საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი	17
ბაკურ კილურაძის საქმე	17
მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები	18
არჩილ ტატუნაშვილის საქმე	18
თამარ მეარაყიშვილის საქმე	19
ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნების საქმე	19
თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე.....	21
ე.წ. ციანიდის საქმე	22
ყოფილი გენერალური აუდიტორის საქმე.....	23
აფგან მუხთარლის საქმე.....	24
მირტაგი ასადოვის საქმე	25
ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავები.....	25
სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები	26
ვიტალი საფაროვის მკვლელობა	27

გამოხატვის თავისუფლება.....	28
გვანცა დოლოუაშვილის საქმე.....	28
„აიისას“ საქმე	28
მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია.....	29
შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა	29
შვილმოკლული მამების საპროტესტო აქცია	30
ველისციხის ინციდენტი.....	31
მედის თავისუფლების შეზღუდვა.....	31
2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	32
სპეციალური საჭიროების მქონე (შშმ) პირთა უფლებები	33
ლგბტ პირთა უფლებები.....	34
ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები	34
ქალთა უფლებები.....	35
მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა სასჯელაღსრულების დანესებულებებში	36
შრომითი უფლებები და უსაფრთხოება.....	37
ჯანმრთელობის უფლებების დაცვა	38
უცხოელთა უფლებები.....	38
იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები	39
ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება	39
აგვისტოს ომთან დაკავშირებული საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	40
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ	41

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის საფუძველზე, სამართლებრივ ჭრილში მიმოიხილავს საქართველოში 2018 წელს განვითარებულ მოვლენებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების რეაგირების ხარისხი ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და განხორციელებული საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რომლებიც მიმართული უნდა იყოს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციისკენ.

2018 წელს განხორციელდა პოზიტიური საკანონმდებლო და სისტემური ცვლილებები კონკრეტული მიმართულებით, კერძოდ - ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით. თუმცა, თანასწორობის მიმართულებით, სახელმწიფო კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშეა. 2018 წელს კანონმდებლობა არ გაუმჯობესებულა კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. შშმ პირთა უფლებები კვლავ არ არის სათანადოდ დაცული. მათ ცხოვრება უწევთ შემლუღული შესაძლებლობებისათვის არაადაპტირებულ გარემოში. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაფიქსირდა მსჯავრდებულთა სუიციდის რამდენიმე შემთხვევა, რომელთა გამომწვევი მიზეზები არ გამოკვლეულა დროულად და ეფექტიანად. უთანასწორობა ვლინდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით. ლგბტ თემი განიცდის განსაკუთრებულ აგრესიასა და დისკრიმინაციას. საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე სახელმწიფოს ვალდებულებაა თანასწორობის პრინციპის დაცვა და დისკრიმინაციის აკრძალვა. სახელმწიფო არ დგამს ეფექტიან ნაბიჯებს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. საქართველოს მთავარი პროკურატურის დისკრეციის გათვალისწინებით, პრობლემური იყო მსხვერპლისთვის/უფლებამონაცვლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება¹. 2018 წელს არ შექმნილა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ობიექტურად იქნებოდა გამოძიებული სამართალდამცველთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები. სასამართლო სისტემა 2018 წლის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის საერთაშორისო სტანდარტს. არ გაუმჯობესებულა დაზარალებულის საპროცესო უფლებრივი მდგომარეობა. 2018 წელს რამდენჯერმე არამართლზომიერად შეიზღუდა შეკრებისა და მანიფესტაციის ფუნდამენტური უფლებები, გამოხატვის თავისუფლება. შეიზღუდა მედიის თავისუფლება. ადგილი ჰქონდა სამართალდამცველთა მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას.

2018 წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებები მიმართული იყო უფლებადამცველების წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დისკრედიტაციას. საყურადღებოა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19659&lang=geo>

2018 წლის 22 ოქტომბერს კოპენჰაგენში მიმდინარე საერთაშორისო ანტიკორუფციულ კონფერენციაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელის მისამართით. იუსტიციის მინისტრის ამ განცხადებას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიერ, 8 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ხელმძღვანელზე პერსონალური თავდასხმა. ამავე პრესკონფერენციაზე კობახიძემ განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს აფარებენ ფაშიზმს და ამ გზით, თავადაც ფაშიზმის თანამონაწილენი არიან². არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „სამოქალაქო საზოგადოებაზე ხელისუფლების კოორდინირებული შეტევა საქართველოში დემოკრატიას ამიანებს“³. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არაჯანსაღი, აგრესიული კრიტიკა ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს ხელისუფლების მაღალჩინოსნების არასათანადო განწყობას და განსხვავებული, კრიტიკული ამრის მიუღებლობას. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ხელისუფლების აგრესიული რიტორიკა შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო დონეზე⁴.

ცვლილებები და ხარვეზები კანონმდებლობაში

ქორწინების განმარტება კონსტიტუციის ახალი რედაქციით

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, 2018 წლიდან, 30-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული ჩანაწერი არ უნდა იქნეს აღქმული იმ ფორმით, რომ იკრძალებოდეს ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორთა შორის კავშირი⁵.

² პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების შესახებ ინფორმაცია:

<http://liberali.ge/news/view/39941/kobakhidze-samtsukharoa-rom-NGOebis-natsili-fashizmis-tanamonatsilea>

³ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19711&lang=geo>

⁴ ადამიანის უფლებათა სახლების საერთაშორისო ქსელის მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი:

<https://hrht.ge/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94/>

⁵ CDL-AD(2017)023, Opinion on the Draft Revised Constitution as Adopted by the Parliament of Georgia at the Second Reading on 23 June 2017, Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), § 38

ცვლილებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში

2018 წელს ცვლილებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების შესაბამისად, დაზუსტდა იმ პირთა წრე, რომლებიც იგულისხმებიან „თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში“ და რომლებიც ვეღარ ისარგებლებენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით. აღნიშნული შეზღუდვის ფარგლებში მოექცნენ შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეები და თანამშრომლები, რომლებიც, მართალია, მუშაობენ აღნიშნულ უწყებებში, მაგრამ ასრულებენ ადმინისტრაციულ საქმიანობას. საყურადღებოა, რომ კანონში ცვლილებების პარალელურად არ მომხდარა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გადახედვა, სადაც საპროცესო გარანტიები არ არის გაწერილი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

წლებია, მთავრობას დაანონსებული აქვს ადმინისტრაციული კოდექსის სისტემური გადასინჯვა, მაგრამ ეს გეგმა 2018 წელსაც არ განხორციელებულა. ამ პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის გათვალისწინებული სანქციები გამკაცრდა⁶. კერძოდ - ჯარიმების ოდენობა წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევაში, თუკი ითვალისწინებდა 100 ლარიდან ჯარიმის დაკისრებას, ცვლილებების შესაბამისად 500-დან 1000 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ან მის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ჯარიმა გათვალისწინებული იყო 250-დან 2000 ლარამდე, ხოლო ცვლილებების შესაბამისად - 1000-დან 4000 ლარამდე იზრდება.

ქვეყანაში არსებული **ნარკოპოლიტიკა** არაერთხელ გახდა სოციალური დაპირისპირებების მიზეზი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს, რამდენად აუცილებელია საზოგადოებისთვის პრევენციული ხასიათის, არარეპრესიული ნარკოპოლიტიკის არსებობა, რომლის იმპლემენტაციისთვის აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანას მოხმარებისთვის არსებული ადმინისტრაციული სანქციები არაკონსტიტუციურად ცნო. რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოს, საქართველოს პარლამენტი ვერ უზრუნველყოფს 2017 წლის ივნისის ბოლოს საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღებას. კანონპროექტი მიზნად ისახავს ნარკოტიკის მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ახალი ნარკოპოლიტიკის დანერგვის მიზანია სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტს ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი

⁶ კოალიციის განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19504&lang=geo>

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაცია: <http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-moqalaqeebi-zurab-djafaridze-da-vaxtang-megrelishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdg-konstituciuri-sarcheli-1282.page>

მხარდაჭერა, მასზე ამ დრომდე საქართველოს პარლამენტს კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლება

კონსტიტუციის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება იყოს („განსაკუთრებული შემთხვევები“ ორგანული კანონით დადგინდება). საქართველოს პარლამენტმა სრულად არ გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რითაც სასამართლომ უცხო ქვეყნის მოქალაქე საკუთრების უფლების სუბიექტად ცნო. ამავე დროს, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, რომელიც 2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედდა, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე უცხოელთა საკუთრების უფლება სათანადო მტკიცებულებებისა და საფუძვლის გარეშე მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც კიდევ ერთხელ გაუქმდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე კანონმდებლობით დანესებული შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, დროის უმოკლეს პერიოდში - 2018 წლის 16 დეკემბრამდე იყო აქტუალური. მოქალაქეთა ჯგუფმა იუსტიციის სახლთან საპროტესტო აქცია გამართა. შეკრებილთა განცხადებით, ისინი არ დაუშვებდნენ დარჩენილ მცირე პერიოდში უცხოელების მიერ „ქართული მიწების“ მისაკუთრებას.

ფემიციდი

საქართველოს პარლამენტმა დღემდე ვერ ასახა ფემიციდის დეფინიცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის საერთაშორისო განმარტებაა: „ქალების მკვლელობა იმითომ, რომ ისინი ქალები არიან“. პრაქტიკაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ფემიციდის შემთხვევების გამოვლენისას გენდერული მოტივის იდენტიფიცირება წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულია, რომ გენდერული იდენტობის მოტივით დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მაგრამ პრაქტიკაში საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლებისათვის აღნიშნული მოტივის გამოკვეთა დღემდე სირთულეს წარმოადგენს. ამას ემატება ისიც, რომ კანონმდებლობით მოსამართლე სარგებლობს შეზღუდული უფლებამოსილებით და საკუთარი ინიციატივით ვერ ცვლის ქმედების კვალიფიკაციას წარდგენილი ბრალდებიდან უფრო მძიმე ბრალდებისკენ. შესაბამისად ნათელია, რომ სახელმწიფო, სამართლებრივი ხარვეზების არსებობის პირობებში, უუნაროა, დამამძიმებელი გარემოებით ჩადენილ ქმედებისთვის დამნაშავეს შეუფარდოს შესაბამისი სასჯელი.

პროკურატურის რეფორმა

2018 წელს საქართველოს პარლამენტში, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, აქტიურად განიხილებოდა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპოლიტიზების, საპროკურორო საბჭოს ფორმირებისა და დამოუკიდებლობის გაზრდის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებები. საქართველოს პარლამენტმა „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი 2018 წლის 30 ნოემბერს მესამე მოსმენით მიიღო. კანონის შემუშავებას 2017-2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმა დაედო საფუძვლად, რომელმაც პროკურატურის ორგანიზაციული მოწყობა და ფუნქციონირება ახალ სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცია. პროკურატურის სისტემაში კონსტიტუციური რეფორმის მიზანი დამოუკიდებლობის და პოლიტიკურად ნეიტრალური მართვის სისტემის უზრუნველყოფაა. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ შეფასებით, რეფორმის საწყის ეტაპზე დაინტერესებული ჯგუფების აქტიური ჩართულობის და სხვადასხვა ფორმატში მოსაზრებების გაცვლის მიუხედავად, პარლამენტმა ინიცირება გაუკეთა ორგანული კანონის პროექტს, რომელშიც გაზიარებული არ იყო არაერთი პრინციპული შეთავაზება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციური რეფორმის მიზნებისთვის. სამწუხაროდ, რეფორმის საწყისი ეტაპისგან განსხვავებით, რეფორმის შემდეგი ეტაპები დახურულ ფორმატში და ნაჩქარევად გაგრძელდა. მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა ინიცირებული პროექტი მეორე და ყველაზე მნიშვნელოვან მოსმენაზე, სხდომის შესახებ ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნების და შესაბამისად, საზოგადოების წევრთა მონაწილეობის გარეშე განიხილა. კანონპროექტი მესამე მოსმენით, ქუთაისში პლენარულ სხდომებს შორის პერიოდში გავიდა ისე, რომ კომიტეტის სხდომის შესახებ ანონსი რეგლამენტით დადგენილ ვადებში არ გავრცელებულა⁸.

2018 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრმა, დაარეგისტრირეს კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთავარი პროკურორის არჩევას რეფორმირებული საპროკურორო საბჭოს მიერ. კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში პროკურორების რაოდენობა იმგვარად, რომ მათ ვერ შეძლონ საბჭოს გადაწყვეტილებების ბლოკირება, როგორც ეს ხდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების მიერ. აღნიშნულ თემაზე 2018 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა⁹, რომელიც საუბრობს საპროკურორო საბჭოს მოწყობასა და ფუნქციებთან დაკავშირებით. დასკვნაში მკაფიოდ არის ასახული მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების საჭიროება. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია პროკურატურის დეპოლიტიზების აუცილებლობაზე, ასევე საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესზე, რომელიც ეხმიანება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანონპროექტს და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული რეკომენდაცია, რომ

⁸კოალიციის შეფასება სრული სახით:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19752&lang=geo>

⁹ვენეციის კომისიის შეფასება:

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e)

საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში აუცილებელია მძლავრად იქნეს წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რაოდენობა.

ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტები სიძულვილის ნიადაგზე

ბოლო პერიოდში შეიქმნა სხვადასხვა დაჯგუფებები, რომლებიც მოწოდებულნი არიან აგრესიისკენ და უპირისპირდებიან მათგან განსხვავებულად მოაზროვნე პიროვნებებს.

2017 წლის ოქტომბერში¹⁰ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ვიცე-კაპიტნის გურამ კაშიას მიერ, ჰოლანდიის საკლუბო ჩემპიონატის მატჩის მიმდინარეობისას, ლგბტ სიმბოლიკის ამსახველი სამკლავურის გაკეთებას საქართველოში ფაშისტური და ექსტრემისტული დაჯგუფებების, ასევე - რიგი პოლიტიკური პარტიების ჰომოფობიური განცხადებები და აგრესიული ქმედებები მოჰყვა. 2018 წლის 22 აგვისტოს გურამ კაშიას გადაეცა UEFA-ს ჯილდო **#EqualGame**, ლგბტ პირთა მიმართ გამოხატული სოლიდარობისთვის, რასაც კვლავ აგრესიით შეხვდნენ მოძრაობა „ქართული მარშის“ წევრები. ამ დაჯგუფების ერთ-ერთი საჯარო მუქარა უკავშირდებოდა 2018 წლის 9 სექტემბერს, „დინამოს“ სტადიონზე, საქართველოსა და ლატვიის საფეხბურთო ნაკრებებს შორის გასამართ მატჩს. ისინი აპროტესტდნენ მატჩში გურამ კაშიას მონაწილეობას. პარალელურად სამოქალაქო აქტივისტებმა და უფლებადამცველებმა გურამ კაშიას სოლიდარობა გამოუცხადეს და სტადიონზე ლგბტ სიმბოლიკით მივიდნენ. „ქართული მარშის“ წევრები იმუქრებოდნენ, რომ არ დაუშვებდნენ სტადიონზე ლგბტ სიმბოლიკის შეტანას. ამ აგრესიის ფონზე სამართალდამცავებმა დააწესეს ცენზურა ლგბტ სიმბოლიკაზე. მატჩზე მისულ სამოქალაქო აქტივისტებს ჩამოართვეს ლგბტ პირთა მხარდასაჭერი სიმბოლიკები და არ მისცეს სტადიონზე შეტანის საშუალება. ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს გადაჭრას თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემები.

მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსში 53¹-ე მუხლის გაჩენასთან, პრაქტიკაში პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლებისათვის კანონის ამ ნორმის შესაბამისად, მოტივის გამოკვეთა დღემდე პრობლემურია. არ ხდება აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში სათანადო დანერგვა, რაც მიუთითებს როგორც კვალიფიკაციის ნაკლებობაზე, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ნების არქონაზე, გაიაზროს საერთაშორისო ვალდებულება და შექმნას ეფექტიანი მექანიზმი საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად.

ქსენოფობიური გამონათქვამები ისმოდა 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის სახლთან გამართულ აქციაზე, სადაც მოქალაქეთა ნაწილი აპროტესტებდა 2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ

¹⁰ იხ. ინფორმაცია - კაშიამ LGBT პირთა მხარდამჭერი სამკლავურით იასპარეზა:

<https://imedinews.ge/ge/saqartvelo/31602/kashiam--lgbt-pirta-mkhardamcheri-samklaurit-iaspareza>

გადაწყვეტილებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლების თაობაზე. აღნიშნულ მოვლენას საჯარო განცხადებით¹¹ გამოეხმაურა პლატფორმა „არა ფობიას!“ და მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები ადმინისტრაციული დაწესებულების შესასვლელის ბლოკირების საწინააღმდეგოდ, რაც ხელს უშლის მის ფუნქციონირებასა და იუსტიციის სახლის სერვისებით სარგებლობას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება, რომელიც აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კი სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა, მიიღონ შესაბამისი ზომები და აღკვეთონ უკანონო მანიფესტაცია, მათ შორის - დააკავონ ის პირები, რომლებიც არ დაემორჩილებიან სამართალდამცველთა კანონიერ მოთხოვნას.

სასამართლო ხელისუფლება

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა არის სტრუქტურული აუცილებლობა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობით¹². „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიზანს წარმოადგენს სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა და განსხვავებული ამრის სათანადო მხარდაჭერა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს, რომ იგი არის კანონს გარეთ და სასამართლო ბედამხედველობისგან დამოუკიდებელი¹³.

2018 წელს განსაკუთრებით ინტენსიურად გამოვლინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა განსხვავებული ამრის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება მოსამართლე წევრთა მხრიდან. საბჭოში რამდენიმე არამოსამართლე წევრი ხშირად საუბრობდა სასამართლოში გაბატონებულ გავლენიან ჯგუფზე, რომლებიც მათი განცხადებით, საფრთხეს უქმნიან როგორც სასამართლოს, ისე მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს არ გაზრდილა საზოგადოების ნდობა სასამართლოსადმი, არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მიმართულებითაც, გრძელდებოდა

¹¹ პლატფორმა „არა-ფობიას!“ განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19753&lang=geo>

¹² ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10, 2007წ. პარაგრაფი მე-8, მიღებულია CCJE-ს მე-8 სხდომაზე, სტრასბურგი 2007 წ. 21-23 ნოემბერი
http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20files/aqtebi/CCJE%282007%29OPINION%2010_GEO.pdf

¹³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #10, 2007წ. პარაგრაფი 92-ე, მიღებულია CCJE-ს მე-8 სხდომაზე, სტრასბურგი 2007 წ. 21-23 ნოემბერი
http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20files/aqtebi/CCJE%282007%29OPINION%2010_GEO.pdf

საბჭოს სხდომების დაუსაბუთებლად დახურვის პრაქტიკაც¹⁴, რაც მნიშვნელოვნად არღვევს საბჭოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულობას.

მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში საბჭო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა წარმართავდეს თავის საქმიანობას. ხოლო არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფდეს ეფექტიანი კანონქვემდებარე აქტების მიღებას და პრაქტიკაში იმპლემენტაციას. უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების წესები, რაც ნათლად იქნება გამიჯნული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა და ადმინისტრაციული წარმოებისგან. გადაწყვეტილებების მიღების ნაწილში საყურადღებოა საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები განისაზღვრა. ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა ერთპიროვნულად განაწილების უფლებამოსილება კი, სასამართლოს თავმჯდომარეს, მიხეილ ჩინჩალაძეს მიენიჭა. მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესი, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს პროცესის გარე ჩარევებისაგან დაცვას. საქმის განაწილების ახალ მოდელში, განსაკუთრებით პრობლემური და სახიფათო თავმჯდომარის უფლებამოსილება, თვითნებურად განსაზღვროს ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობა¹⁵.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დატოვება

2018 წლის 2 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოულოდნელად თანამდებობის დატოვებამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ სასამართლო სისტემაში არსებობს ბუნდოვანი გარემოებები და დაპირისპირებები. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დატოვების ფაქტს გამოეხმაურენ არასამთავრობო ორგანიზაციები განცხადებით¹⁶: „*თანამდებობაზე ყოფნის სამწლიან პერიოდში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე არასაკმარისად რეაგირებდა სისტემაში არსებულ პრობლემებზე. ბოლო პერიოდში მისი, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოზიციები თანხვედრაში იყო საბჭოს მოსამართლე წევრების მოსაზრებებთან. მიუხედავად ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ცხადი იყო თავმჯდომარესა და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის არსებული დაპირისპირება*“.

დაპირისპირების თაობაზე საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ისაუბრა თავად საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ. მან საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე მის მიმართ

¹⁴ იხ. მიმართვა - კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების დახურვის ინიციატივას ეხმიანება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19531&lang=geo>

¹⁵ აღნიშნულ პრობლემებს საჯარო განცხადებით გამოეხმაურა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19572&lang=geo>

¹⁶ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19673&lang=geo>

ბენოლაში დაადანაშაულა¹⁷. საყურადღებოა, რომ იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარემ განმარტებების გარეშე დატოვა, როგორც საბჭოს, ისე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობები და არც შესაბამისი უწყებები დაინტერესებულან, გამოევილინათ შესაძლო ბენოლის ფაქტები.

საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლამდე, რომელიც ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდა (2018 წლის 16 დეკემბერი), უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტს უნდა წარედგინა, რის შემდეგაც მას თანამდებობაზე პარლამენტი ნიშნავდა. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უარი განაცხადა პარლამენტისადმი კანდიდატების წარდგენაზე. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იყო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაესახელებინათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი¹⁸. საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია გახდა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სისტემაში არსებული გავლენიანი მოსამართლეების ხელში ძალთა კონცენტრაციისა და სისტემის კიდევ უფრო ჩაკეტვის რისკებს.

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა

2018 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გრძელდებოდა მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა. საბჭომ 22 თებერვალს 44 მოსამართლე უვადოდ გაამწესა თანამდებობებზე, მათ შორის არიან ის მოსამართლეები, რომელთა დამოუკიდებლობა საზოგადოებაში უნდობლობასა და უსამართლობას იწვევდა, წარსულში მათ მიერ მიღებული დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებების გამო. მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი, ძირითადად, დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა, რა დროსაც საბჭოს არამოსამართლე წევრს, ანა დოლიძეს 14 მოსამართლის შერჩევის პროცესში არ მიეცა მონაწილეობის საშუალება¹⁹. მიუხედავად მრავალწლიანი მართლმსაჯულების რეფორმებისა მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის ყველა ეტაპზე, საზოგადოებისთვის ნათელია, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი გავლენიანი ჯგუფის მიერ იმართება და სავარაუდო ნეპოტიზმს ეფუძნება. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საბჭო მის ხელთ არსებულ უფლებამოსილებებს და საკანონმდებლო ხარვეზებს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების სისტემიდან განსაღვევად და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად იყენებს. არსებულ ვითარებაში, მოსამართლეები ერიდებიან კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირებას სასამართლოში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ - „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ 2018 წლის მარტში **დაიწყო კამპანია „მინდა ვენდო სასამართლოს“** და მოითხოვა: პოლიტიკურმა ხელისუფლებამ აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა სასამართლო სისტემაში არსებულ კრიზისზე; სასამართლო სისტემა გათავისუფლდეს კლანური მმართველობისგან;

¹⁷ ამ თემაზე იხ. საზოგადოებრივი მუწყებლის სიუჟეტი: <https://1tv.ge/news/nino-gvenetadze-ghiad-vambob-dghes-dzaladobis-mskhverpli-var/>

¹⁸ იხ. კოალიციის მონოღება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19676&lang=geo>

¹⁹ ვრცლად იხილეთ იხ. კოალიციის დოკუმენტში:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19502&lang=geo>

პროკურატურა დაინტერესდეს და სრულფასოვნად გამოიძიოს მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო დანაშაულის შემთხვევა; პარლამენტი დაუყოვნებლივ გაატაროს რეალური რეფორმები, რის საფუძველზეც სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფი ვეღარ შეძლებს კანონმდებლობა არაჯანსაღი მიზნებისთვის გამოიყენოს²⁰. მოსამართლეების მხრიდან განსხვავებული აზრის და კრიტიკის ღია და ფიქსირება საბჭოს მწვავე რეაგირების საფუძველი ხდება, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიც არის ყოფილი მოსამართლის მაია ბაქრაძისათვის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმა სწორედ მისი კრიტიკული განწყობების და საქმიანობის გამო²¹.

საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის სხდომამ. სხდომაზე განსახილველ საკითხთა შესახებ ინფორმაცია დღის წესრიგში არასამუშაო დღეს - კვირას შეიტანეს, რაც კანონდარღვევაა. 24 დეკემბერს, იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებმა შეარჩიეს და პარლამენტს წარუდგინეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უვადოდ დასანიშნი 10 კანდიდატი. მათ შორის - მიხეილ ჩინჩალაძე, რომელსაც საბჭოს არამოსამართლე წევრები და არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი მიიჩნევს სასამართლო სისტემაში არსებული კლანის ხელმძღვანელად. სიაში ასევე მოხვდნენ საბჭოს ყოფილი მოსამართლე წევრები, რომელთათვის საზოგადოებას არაერთხელ გამოუხატავს უნდობლობა და პროტესტი. კანონშეუსაბამო წესით აღნიშნული საკითხის განხილვას საბჭოს სამმა არამოსამართლე წევრმა მხარი არ დაუჭირა. რაც შეეხება შემდგომ ეტაპს - საქართველოს პარლამენტში კანდიდატებზე მსჯელობას, პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ პარლამენტი ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სურვილს, კანდიდატების შერჩევა განხორციელდეს წინასწარ განერილი პროცედურისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ამიტომ პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე არ მიიღო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გამწესების გადაწყვეტილება და გადადო საგაზაფხულო სესიისთვის²².

საზოგადოების შემოთქმება გამოიწვია ასევე 2018 წლის 27 დეკემბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე ლევან მურუსიძესთან გასაუბრებამ, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებით, 11 ხმით უვადოდ გამწესდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. საყურადღებოა, რომ გასაუბრება ორ საათს გრძელდებოდა და მურუსიძეს შეკითხვებს აქტიურად მხოლოდ არამოსამართლე წევრები ანა დოლიძე და ნაზი ჯანგაშვილი უსვამდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა მურუსიძის თვითშეფასებები გასაუბრებაზე, რომ ის წარმოდგენს ლიდერს სასამართლო სისტემაში. ასეთი თვითშეფასება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა ნაწილი წარმოდგენილია გაურკვეველი ლეგიტიმაციის ლიდერებად, რაც ადასტურებს ე.წ. კლანურ მმართველობას.

²⁰ გამჟანის შესახებ ვრცლად იხ. კოალიციის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19502&lang=geo>

²¹ იხ. კოალიციის განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19522&lang=geo>

²² <https://www.interpressnews.ge/ka/article/527027-parlamentma-uzenaesi-sasamartlos-mosamartleebis-sakitxis-ganxilva-sagazapxulo-sesiamde-gadado>

სამართალდამცველთა საგარეულო დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება

საქართველოს კონსტიტუციით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. ხელშეუვალია ადამიანის პატივი და ღირსება. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშემლუდული პირის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების განხორციელება. კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს, რომ დაკავებისას, სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებული პირის მიმართ იყოს პროპორციული ძალა გამოყენებული.

სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა 2018 წელსაც ვერ მიიღეს სამართლებრივი შედეგი საქმეებზე, სადაც პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებულ პირთა მიმართ საგარეულოდ განახორციელეს ძალადობა, წამება და არაადამიანური მოპყრობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას, აწარმოონ სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება, შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

2018 წელს საზოგადოების განწყობა და ნდობა საგამოძიებო სტრუქტურების მიმართ იყო უარყოფითი, რაც განაპირობა საგამოძიებო სისტემის არაეფექტურობამ. სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან საგარეულო დანაშაულების შემთხვევები როცა იკვეთება, არ არსებობს სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულებების მკაფიო ნება:

- ობიექტურად გამოიძიოს დანაშაულებრივი ქმედებები;
- დროულად იქნენ ცნობილი დამარალეებულად მოქალაქეები, რომლებიც სამართალდამცავების მხრიდან დაექვემდებარნენ ძალადობას, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას;
- შეეფარდოს დამნაშავეებს ადეკვატური სასჯელი.

2018 წელს არ გაუმჯობესებულა შსს-ს გენერალური ინსპექციის საქმიანობა. რეაგირების თვალსაზრისით სახელმწიფოს უფლებამოსილი ინსტიტუტი - შსს გენერალური ინსპექცია სრულად ვერ უზრუნველყოფს დაბალანსებული, ეფექტიანი შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების შექმნას, რასაც შედეგად ახლავს ხშირად პოლიციელთა თვითნებობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. გენერალური ინსპექციის მიერ პოლიციელთა გადაცდომების ადეკვატური შეფასება და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ხშირად უფლებადამცველი ორგანიზაციების აქტიური ჩარევის შემდგომ ხდება.

ზვიად კუპრავას საქმე

ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნის მამის, ზაზა სარალიძის მხარდამჭერი პოლიტიკური აქტივისტის, ზვიად კუპრავას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სასადილო დარბაზში პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა. სასადილოში ზვიად კუპრავა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული შესვენებისას სადილობდა. პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით განახორციელეს მისი სასამართლო სხდომის დარბაზში შეყვანა. ამ ინციდენტზე

რეაგირების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის რეკომენდაციით, დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე შსს-ს გენერალურ ინსპექციას მიმართეს ზვიად კუპრაგამ და ზაზა სარალიძემ. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შსს-ს ხუთი თანამშრომლის მხრიდან გამოიკვეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი. მათ სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა. კერძოდ: სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის პოლიციის ოთხ თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ხელმძღვანელ პირს - სასტიკი საყვედური.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმე

2018 წელს სამართლებრივი შედეგი დადგა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე, კერძოდ - 2015 წელს ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსის, ლაშა კვიციანიას მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებაზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის საფუძველზე.

მდინარაძის საქმეზე საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენები. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში ცნო და გაამართლა ძალადობის განხორციელების ნაწილში. ეს განაჩენი ძალაში დატოვა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) და ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ადვოკატები, რომელთა ხელშეუხებლობა კანონით არის დაცული, თავად ხდებიან ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რაც წარმოაჩენს ამ პრობლემის მასშტაბს სხვა რიგით მოქალაქეებთან მიმართებაში²³.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ბრალდების მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 26 ოქტომბერს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსის ლაშა კვიციანიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაადგინა და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მას ასევე 1 წლით ჩამოართვა საქმიანობის უფლება. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, კვიციანია სასამართლო სხდომის დარბაზში დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი დადებითად აფასებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გაჭიანურებული მართლმსაჯულების პროცესი მთელ რიგ მსგავს საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება პოლიციელების მხრიდან შესაძლო ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, და ამ საქმეებზე სამართლებრივი შედეგი დღემდე არ დამდგარა.

²³ იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთობლივი მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19428&lang=geo>

ადამიანის უფლებათა ცენტრი წარმოებული საქმეების საფუძველზე აღნიშნავს, რომ სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სრული გამოძიების უზრუნველსაყოფად, მანკიერი, სისტემური პრობლემების აღმოფხვრა მხოლოდ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის პირობებშია შესაძლებელი²⁴.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი

2018 წლის განმავლობაში, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა ყოფილ პოლიტპატიმართა საქმეების ხელახალი გამოძიების მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, რაც მათი გამართლების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვებში გამოიხატა. იმ საქმეებზე, სადაც დაზარალებულის უფლებების დარღვევის ფაქტები გამოიკვეთება, პროკურატურას გამოაქვს დადგენილება დაზარალებულის უფლებების დარღვევის შესახებ და მიმართავს სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. ფიქსირდება ფაქტები, როცა დეპარტამენტი სახელმწიფო ბალანსზე არსებულ ქონებას სასამართლოს გვერდის ავლით უბრუნებს მესაკუთრეს (დაზარალებულს). პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი, ძირითადად, იძიებს 2012 წლამდე საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის, ყოფილი პოლიტპატიმრების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეებს. დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები, ასევე - დადებითი ტენდენციები ადამიანის უფლებათა ცენტრმა ასახა 2018 წელს გამოცემულ ანგარიშში „მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის დეპარტამენტის მონიტორინგი“²⁵.

ბაკურ კილურაძის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა ყოფილი პოლიტპატიმრის, ბიზნესმენ ბაკურ კილურაძის უფლებებს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის განაჩენით ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება - ჯაშუშობა. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიმართვის შემდგომ, 2018 წლის ივლისში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბაკურ კილურაძის

²⁴ გრცლად იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში:

<http://hriddc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/special-report-ge.pdf>

²⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში - „მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის დეპარტამენტის მონიტორინგი“

<http://hriddc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/reaserch-geo.pdf>

მიმართ 2011 წლის 7 მარტს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და საქმეზე მიღებული იქნა ახალი, გამამართლებელი განაჩენი.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები

არჩილ ტატუნაშვილის საქმე

2018 წელს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მორიგი მსხვერპლი გახდა 35 წლის არჩილ ტატუნაშვილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 22 თებერვალს დააკავა 2008 წლის ომში მონაწილეობისა და დივერსიის მოწყობის გეგმის ბრალდებით. საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მტკიცებით, არჩილ ტატუნაშვილი ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში დაკითხვისას ციხეში წამებით მოკლეს. სეპარატისტული რეჟიმის მტკიცებით კი, სიკვდილის მიზეზი გულის უკმარისობა გახდა.

2018 წლის აპრილში ადამიანის უფლებათა ცენტრმა და სხვა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას და მოუწოდეს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, გამოყენებულიყო საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები და ამ ტერიტორიებზე სიცოცხლის ხელყოფისა და თავისუფლების შეზღუდვის გავრცელებულ პრაქტიკებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილიყო სახელმწიფოთაშორისი საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. რუსეთის წინააღმდეგ საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში ორი საჩივარი გაიგზავნა. სახელმწიფოთაშორისი სარჩელით - საქართველო, ხოლო ინდივიდუალური სარჩელით რუსეთს არჩილ ტატუნაშვილის მშობლები, გიორგი და რუსუდან ტატუნაშვილები უპირისპირდებიან.

ტატუნაშვილის საქმეს ქვეყანაში პოლიტიკური გამოხმაურებაც მოჰყვა. 2018 წლის 5 მარტს პარტია „ევროპულმა საქართველომ“ საპარლამენტო უმრავლესობას საქმესთან დაკავშირებით რეზოლუციის საერთო დოკუმენტის შექმნა შესთავაზა²⁶ რომელშიც ჩაემატებოდა სანქციების ნაწილი ე.წ. ოთხობორია-ტატუნაშვილის სიის გათვალისწინებით და იქნებოდა პრაქტიკული მნიშვნელობის სამომავლო პრევენციისათვის, ასევე - გიგა ოთხობორიასა²⁷ და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელების პასუხისგებაში მისაცემად. 2018 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა რეზოლუციის პროექტი 106 ხმით დაამტკიცა²⁸.

²⁶ <https://imedineews.ge/ge/saqartvelo/51430/evropuli-saqartvelo-tatunashviltan-dakavshirebit-rezolutsiis-saerto-dokumentis-sheqmniis-momkhrea>

²⁷ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები გიგა ოთხობორია 2016 წ. 19 მაისს მოკლეს ე. წ. სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. დამნაშავე დღემდე არ არის დასჯილი.

²⁸ ინფორმაცია, ვრცლად: <https://imedineews.ge/ge/saqartvelo/53744/parliamentma-tatunashviltan-dakavshirebit-rezolutsia-106-khmit-miogo>

თამარ მეარაყიშვილის საქმე

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მდგომარეობა ვკლავ განსაკუთრებულად მძიმეა. 2018 წელს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სამოქალაქო აქტივისტის, თამარ მეარაყიშვილის საქმემ, რომელსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეეზღუდა თავისუფალი გადაადგილების უფლება, რის შემდეგაც მისი უფლებები უხეშად და მრავალმხრივად დაირღვა.

ოკუპირებული ახალგორის რაიონის დე ფაქტო პროკურატურამ თამარ მეარაყიშვილს ბრალად წაუყენა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის უკანონოდ მიღება საქართველოს მოქალაქეობის პარალელურად, ყალბი დოკუმენტის გამოყენება და ცილისწამება პარტია „ედინაია ოსეთიას“ რეგიონული განყოფილების მიმართ. ამ დროისთვის თამარ მეარაყიშვილი ახალგორში, საქართველოს არაკონტროლირებად რეგიონში ცხოვრობს. მას ჩამოართმეული აქვს პასპორტი და ყველა საჭირო დოკუმენტი. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიის გარდა, გადაადგილება შეზღუდული აქვს²⁹.

თამარ მეარაყიშვილის საქმე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ყურადღების ქვეშ მოექცა³⁰.

მნიშვნელოვანია, საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა გამოიყენონ ყველა საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დამცველებს და აქტივისტებს არ ექმნებოდეს დაბრკოლებები.

ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნების საქმე

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვანის სასტიკმა მკვლელობამ საზოგადოებას დაანახა, თუ როგორი სუბიექტურია სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუციების დამოკიდებულება ჩაატაროს ყოველმხრივი, სრულყოფილი, ეფექტიანი გამოძიება დანაშაულის ჩამდენი პირების გამოსავლენად. საზარელ მკვლელობას წინ უძღოდა არასრულწლოვნებს შორის დაპირისპირება, რომელიც თბილისის 51-ე საჯარო სკოლის საპირფარეოში დაიწყო და საბოლოოდ ხორავას ქუჩაზე საქმის ქუჩური გარჩევით და ორი მოზარდის მკვლელობით დასრულდა.

გამოძიებას დასაწყისშივე არ დაუდგენია, თუ ვინ იყვნენ არასრულწლოვანთა შორის დაწყებული კონფლიქტის ორგანიზატორები, რამაც საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ გამოძიება არ იყო სრულფასოვანი და ადგილი ჰქონდა საქმის ფაბრიკაციას. ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი არასრულწლოვნის 14 წლის ა.ს.-ს მშობელი პროკურატურის მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანი იყო. დაზარალებული მხარე თავიდანვე აცხადებდა, რომ ა.ს. და მისი დეიდაშვილი მ.კ. მკვლელობის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ, მაგრამ საქმეში მათ მხოლოდ მონმის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (ე.წ. ოქროს მონმეები), რამაც საზოგადოებაში შექმნა

²⁹ ინფორმაცია ვრცლად: <http://netgazeti.ge/news/332000/>

³⁰ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის ვებ-გვერდზე: <https://humanrightshouse.org/articles/civil-activist-and-journalist-persecuted-by-the-south-ossetias-de-facto-authority-2/>

განწყობა, რომ პროკურატურა ხელს აფარებდა დანაშაულის ჩამდენ მთავარ ფიგურანტებს. მოგვიანებით, ასევე, ცნობილი გახდა, რომ ერთ ეპიზოდში მკვლელობის ადგილზე მოზარდებს შორის დაპირისპირება მიმდინარეობდა ხორავას ქუჩაზე არსებულ ფარდულში, რომელიც მალევე დაანგრის, რამაც გაართულა და შეუძლებელი გახადა საქმეზე მნიშვნელოვანი დეტალების დადგენა.

საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ სწორედ მირზა სუბელიანი გახლდათ დაინტერესებული პირი, აერიდებინა მისი შვილი და ნათესავი მ. კ. შესაძლო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამაც იმოქმედა გამოძიების ხარისხზე.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული მკვლელობის არაეფექტიანმა გამოძიებამ თბილისში მოქალაქეთა მრავალათასიანი საპროტესტო აქციები გამოიწვია, მკვლელობიდან მხოლოდ 7 თვის შემდეგ, 2018 წლის 9 ივნისს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით დააკავეს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვის უფროსის მოადგილე მირზა სუბელიანი³¹.

2018 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტმა შექმნა „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“. კომისიის შექმნის აუცილებლობა დადგა მას შემდეგ, რაც 2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიების ობიექტურობისადმი გაჩნდა უნდობლობა როგორც უშუალოდ დაზარალებულის - მოკლული დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის, ისე ფართო საზოგადოების მხრიდან. პროცესის მიმართ უნდობლობა კიდევ უფრო გამყარდა და ფართო საზოგადოებრივ მდელვარებაში გადაიზარდა 2018 წლის 31 მაისს, როდესაც ცნობილი გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ეკა არეშიძის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, არ დადასტურდა პროკურატურის ვერსია არასრულწლოვანი დავით სარალიძის მკვლელობის ვინაობაზე. მთავარი პროკურატურის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება³² მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის თანამდებობის დატოვების მოთხოვნით. საზოგადოების მოთხოვნის შედეგად, მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე თანამდებობიდან გადადგა.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია სამი თვის განმავლობაში სწავლობდა საქმეს. შეისწავლა არაერთი მტკიცებულება და გამოკითხა არაერთი მონწილე. ბოლოს კომისიამ წარმოადგინა დასკვნა და რეკომენდაციები. თუმცა, კომისიაში უმცირესობის სახით წარმოდგენილი საპარლამენტო უმრავლესობა არ დაეთანხმა კომისიის დასკვნასა და რეკომენდაციებს, რაც კომისიის წევრებს შორის მწვავე დისკუსიის საგანი გახდა. საგამოძიებო კომისიის წევრებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ და საპარლამენტო უმრავლესობას, კომისიას წარუდგინეს დასკვნის ალტერნატიული პროექტი, რომელიც კომისიამ არ დაამტკიცა. კომისიის ფარგლებში მომზადებული დასკვნის ორი პროექტი არა მხოლოდ ფორმულირების, არამედ შეფასებისა და რეკომენდაციების ყველა

³¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19587&lang=geo>

³² არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - საქართველოს მთავარმა პროკურორმა დატოვოს თანამდებობა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19606&lang=geo>

ასპექტში ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. საბოლოოდ საქართველოს პარლამენტმა ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული ალტერნატიული დასკვნა დაამტკიცა.

აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ შემუშავებულ დასკვნაში³³ წარმოდგენილია 32 რეკომენდაცია. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შესრულდეს საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და შესრულების შესახებ ანგარიში წარედგინოს საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებას.

ხოორავს ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ როგორც საზოგადოებას, ასევე შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებს დაანახა, რომ პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი. აუცილებელია, გადაიდგას ნაბიჯები საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად.

ხოორავს ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმის არასათანადო გამოძიებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი.

ამ ეტაპზე, საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 10 თვის განმავლობაში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, დამდგარიყო სრულყოფილი შედეგი საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, სახელმწიფომ თავი აარიდა კომისიის დასკვნის რეკომენდაციების გაზიარებას. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დაზარალებულის უფლებამონაცვლის უფლებების დაცვა, ხოლო მისი ლეგიტიმური პროტესტი და საზოგადოების მასშტაბური აქციები არაადეკვატურად, პოლიტიზირებულად შეაფასა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაეძლია კრიზისი და მიმდინარე პროცესები უყურადღებოდ დატოვა, რადგან დღემდე არ დამდგარა შედეგი - გამოვლენილი და დასჯილი არ არის დავით სარალიძის მკვლეელი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სახელმწიფოს შესაბამის ინსტიტუციებს ხელი არ შეუშალოს საქმეზე ობიექტური/სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2017 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით დილის 04:00 საათზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში სპეცოპერაცია ჩატარეს, რა დროსაც დააკავეს ოთხი ადამიანი, ხოლო სოფელ დუისის მკვიდრი თემირლან მაჩალიკაშვილი საკუთარი სახლის საძინებელ ოთახში, სანოლში მწოლიარე მძიმედ დაჭრეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, სავარაუდოდ, უფლებამოსილების ფარგლების გადამეტებით მოქმედებდნენ. კითხვები გაჩნდა, რამდენად ლეგიტიმური და პროპორციული იყო ასეთი სპეცოპერაციის ჩატარება და მყისიერი გასროლა, მაშინ როდესაც დილის 4:00 საათზე თემირლან მაჩალიკაშვილს საკუთარ საძინებელში ეძინა. მნიშვნელოვან

³³ იხ. კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები:

<http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/101632/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90>

დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მისივე თანაშრომლების შესაძლო დანაშაულის საქმეზე თავადვე ჩაატარა ოთახის ჩხრეკა/ამოღება, რითაც გამოძიების დამოუკიდებლობის ობიექტურობის პრინციპი დაირღვა. ჩხრეკა-ამოღების პროცესის შედეგად თითქოსდა ამოღებული ხელყუმბარა სუს-მა გაანადგურა, მაშინ როდესაც ის იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულება. შეუძლებელი გახდა ასევე დანაშაულის ადგილზე სროლის მანძილის გაზომვა. ოჯახის წევრებისა და უფლებადამცველების ინფორმაციით, თემირლან მაჩალიკაშვილს დროულად არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. თავში დაჭრილი ახალგაზრდა თბილისის საავადმყოფოში გარდაიცვალა რამდენიმე დღიანი უშედეგო მკურნალობის შემდეგ. ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო თემირლან მაჩალიკაშვილის დაჭრის ფაქტზე ეფექტიანი და ობიექტური, სრული, ყოველმხრივი გამოძიების ჩატარება.

ე.წ. ციანიდის საქმე

ე.წ. ციანიდის საქმე მალალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს 2017 წლიდან. თუმცა, საზოგადოებამ 2018 წელსაც ვერ მიიღო პასუხები სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებიდან იმ უფლებადარღვევებზე, რაც საქმეზე ბრალდებული სასულიერო პირის, დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში პროცესები გაუმჭვირვალედ წარიმართა, რაც სასამართლო სხდომების დაუსაბუთებელ დახურვაში გამოიხატა. სასამართლომ არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და ბრალდებულის ადვოკატების მოთხოვნა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დახურულიყო მხოლოდ სხდომების ის ნაწილი, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი მონაცემები ქვეყნდებოდა³⁴. საყურადღებოა, რომ ბრალის წარდგენის დღიდან დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა მხრიდან, რამაც განაჩენის გამოტანამდე შექმნა საზოგადოებაში წინასწარი განწყობა დეკანოზის დამნაშავეობასთან დაკავშირებით. სასამართლო პროცესებზე არსებითად დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი იმ პირობებში, როდესაც ადვოკატებს დააკისრეს გაუთქმელობის ვალდებულება მაშინ, როცა პროკურატურა დაუბრკოლებლად ასაჯაროებდა საქმეში არსებულ არაერთ მტკიცებულებას³⁵. გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრებით დაცვის მხარეს წაერთვა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა საქმისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე ექსპერტიზა. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილეს დაცვის მხარის შუამდგომლობა აეროპორტში გიორგი მამალაძის

³⁴ სახალხო დამცველის განცხადება ე. წ. ციანიდის საქმის განაჩენთან დაკავშირებით: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19318&lang=geo>

³⁵ დეკანოზ გიორგი მამალაძის ერთ-ერთი ადვოკატი სასამართლო პროცესზე იყო ადამიანის უფლებათა ცენტრი იურისტი, რომელიც ასევე გაუთქმელობის ხელწერილით მონაწილეობდა პროცესში.

დაკავებისა და ჩხრეკის ვიდეოჩანაწერების მოპოვებასთან დაკავშირებით, რაც საქმეში მნიშვნელოვან ნეიტრალურ მტკიცებულებას წარმოადგენდა³⁶.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს ორივე ინსტანციის სასამართლოში წაერთვა დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება. მის მიმართ არსებითად დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. სახელმწიფომ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, სამართლიანად დაეცვა დაკავებული პირის საპროცესო უფლებები, რაც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ყველა ეტაპზე გამოვლინდა.

ყოფილი გენერალური აუდიტორის საქმე

გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას 2017 წლის 13 მაისს თავს დაესხა ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მიხეილ ჩოხელი. ლაშა თორდიას განცხადებით, თავდასხმა უკავშირდებოდა მისი, როგორც გენერალური აუდიტორის, საქმიანობას, კერძოდ - მის აუდიტორულ დასკვნას, სადაც იკვეთებოდა ოთარ ფარცხალაძის მონაწილეობა სავარაუდო კორუფციულ გარიგებაში.

ყოფილი გენერალური აუდიტორის სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს. ცენტრი აპროტესტებს, რომ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რადგან აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის გამო ჩადენილ დანაშაულს. საქმის გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმას მისი საქმიანობის გათვალისწინებით³⁷. თავდასხმის შემდეგ ლაშა თორდიას აღენიშნებოდა სხეულის სერიოზული დაზიანებები, მათ შორის - ქალაქგინის დახურული ტრავმა. ფაქტს, რომ გენერალურ აუდიტორს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, ადასტურებს ოთარ ფარცხალაძის ადვოკატიც, რომელიც მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ თითქოსდა შემთხვევის დროს ე.წ. პროპორციული ძალის გამოყენება გახდა საჭირო „მყისიერი განეიტრალებისთვის“. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პროპორციულ ძალაზე საუბარი სრულიად უადგილოა, რადგან ინციდენტისას ლაშა თორდიას გარდა, არავინ დაზარალებულა³⁸.

ყოფილი მთავარი პროკურორის გარდა, ლაშა თორდიას ცემაში ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანი მიხეილ ჩოხელიც მონაწილეობდა.

2018 წლის 5 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის პერიოდში, მყისიერად გააქტიურდა საქართველოს მთავარი პროკურატურა და 1 წლის შემდეგ ლაშა თორდიას მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ბრალი წარედგინათ ოთარ ფარცხალაძეს და მიხეილ ჩოხელს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე

³⁶ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19538&lang=geo>

³⁷ ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19767&lang=geo>

³⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას ცემის ფაქტის გამოძიების თაობაზე: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19223&lang=geo>

მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს ცემას. ამავე დღეს პროკურატურამ დაზარალებულად ცნო ლაშა თორდია, ხოლო ბრალდებულებისთვის აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სასამართლო პროცესის ჩატარება ბრალდებულებისთვის აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გამოძიება მიმდინარეობდეს საქართველოს პარლამენტის აქტიური კონტროლით და მონაწილეობით, რადგან საქმე ეხება კონსტიტუციური ორგანოს - სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელზე თავდასხმას დანაშაულზე, რომელიც ეხება მის საქმიანობას.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქმეზე არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არ მსჯელობს ჩადენილი დანაშაულის ჯგუფურ ხასიათზე, მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ფარცხალაძესა და მიხეილ ჩოხელს ბრალი წარდგენილი აქვთ ერთსა და იმავე ქმედებაზე და საქმეზე. შესაბამისად, აშკარად იკვეთება ერთსა და იმავე საქმეზე ორი პირის ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედება, რაც გულისხმობს ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას, რაზეც უნდა დადგეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი.

აფგან მუხთარლის საქმე

ამერბაიჯანიდან დევნილი ჟურნალისტი და აქტივისტი აფგან მუხთარლი 2017 წლის მაისში თბილისიდან ბაქოში საიდუმლო ვითარებაში გაიტაცეს. საზოგადოებაში გაჩნდა ლოგიკური ეჭვი, რომ ჟურნალისტის გატაცებაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მონაწილეობდნენ. 2018 წლის 12 იანვარს ბელაქნის (ამერბაიჯანი) რაიონულმა სასამართლომ აფგან მუხთარლი დამნაშავედ ცნო სახელდახელოდ წაყენებულ ბრალდებებში - საზღვრის უკანონო კვეთა, დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის კონტრაბანდა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა. მუხთარლის სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა აფგან მუხთარლის უდანაშაულობის დადასტურება.

ბელაქნის რაიონულმა სასამართლომ აფგან მუხთარლის მიმართ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება. 2018 წლის 23 აპრილს, აფგან მუხთარლის ადვოკატს ნემეტ ქერიმლის სასამართლო პროცესამდე ერთი დღით ადრე, ამერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციამ ერთი წლით საადვოკატო ლიცენზია შეუჩერა³⁹. ამ გადაწყვეტილებით, უხეშად შეიზღუდა ნემეტ ქერიმლის საადვოკატო საქმიანობა, გაუმართლებლად შეიზღუდა გამოხატვის თავისუფლება, დაირღვა აფგან მუხთარლის დაცვის უფლება, რადგან მას წაერთვა შესაძლებლობა, ისარგებლოს მის მიერ შერჩეული ადვოკატის დაცვით. აღნიშნული წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან - დაცვის უფლების პრინციპის დარღვევას. აფგან მუხთარლის ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება

³⁹ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის განცხადება:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19571&lang=geo>

აზერბაიჯანში ადგილობრივი პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების გამო, რაც ადასტურებს ეჭვს, რომ აფგან მუხთარლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე არ არის თავისუფალი პოლიტიკური გავლენისგან და მისი უფლებების სავარაუდო დარღვევა საქართველოსა თუ აზერბაიჯანში სისტემური ხასიათისაა.

მირთაგი ასადოვის საქმე

საქართველოს მთავრობის მიერ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ გამოვლენილი პოლიტიკური ლოიალურობის და ამგვარ ფაქტებში სახელისუფლებო ორგანოების მონაწილეობასთან დაკავშირებული ეჭვები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2018 წლის 7 ნოემბერს საქართველოს მოქალაქე, შეიხი მირთაგი ასადოვი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის გადაკვეთისთანავე დააკავეს⁴⁰.

მირთაგი ასადოვი საქართველოს მოქალაქეა და რელიგიურ და საქველმოქმედო მოღვაწეობასთან ერთად, აქტიურად მუშაობს საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვასა და თანასწორობის ხელშეწყობაზე. ის განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩევა სახელმწიფოს იმ პოლიტიკის მიმართ, რომელიც საქართველოში მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციების კონტროლსა და ინტერვენციაზე არის ორიენტირებული. 7 ნოემბრის შემდეგ თითქმის 4 დღის განმავლობაში დაკავებული სასულიერო პირის ადგილსამყოფელისა და ბედის შესახებ ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ. პირველივე დღეებში, მირთაგი ასადოვის ადვოკატებმა მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველსა და დაკავებული სასულიერო პირის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება ითხოვეს, მაგრამ ოფიციალური პასუხი არ მიუღიათ. მხოლოდ აზერბაიჯანში კერძო ადვოკატის მოძიების შემდეგ გახდა შესაძლებელი ოჯახის წევრებისთვის ინფორმაციის მიღება მირთაგი ასადოვის დაკავების მიზეზების შესახებ. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო არ ახდენს დროულ რეაგირებას და არ ცდილობს, საერთაშორისო დონეზე დაიცვას საკუთარი მოქალაქის უფლებები, რაც როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პოზიტიური ვალდებულებების დარღვევაზე მიუთითებს. ასადოვი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებიდან მეორე დღეს გაათავისუფლეს, რაც სავარაუდოდ მის დაკავებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოხატულ შეშფოთებას და რეზონანსს უკავშირდება⁴¹.

ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავები

2018 წელს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ტელეკომპანია „იბერიის“ მუწყებლობის შეწყვეტამ. ტელეკომპანიის დამფუძნებლის განცხადებით, აღნიშნულის მიზეზი დაფინანსების მთავარი წყაროს - კომპანია „ომეგა ჯგუფის“

⁴⁰რელიგიური და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19745&lang=geo>

⁴¹ ინფორმაცია გათავისუფლების თაობაზე ვრცლად იხ.: <http://netgazeti.ge/news/325029/>

სახელმწიფოს წინაშე არსებული საგადასახადო დავა გახლდათ. სახელმწიფო „ომეგა ჯგუფს“ საბაჟო წესების დარღვევას და გადასახადებისგან თავის არიდებას ედავებოდა. საზოგადოებისთვის, ასევე, ცნობილი გახდა, რომ „ომეგა ჯგუფს“ სახელმწიფოს წინაშე 53 მილიონი ლარის დავალიანება ჰქონდა. განსაკუთრებით საყურადღებოა 2018 წლის სექტემბერში „ომეგა ჯგუფისა“ და ტელეკომპანია „იბერიას“ საქმიანობასთან დაკავშირებით გასაჯაროებული აუდიოჩანაწერები და სხვა სახის მასალები, რომლებიც მძიმე კორუფციული დანაშაულების ნიშნებს შეიცავდა, სავარაუდოდ, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით. საყურადღებოა, რომ გავრცელებულ მასალებში მაღალი თანამდებობის პირების სახელები ფიგურირებს და კორუფციაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ჩართულობის ნიშნები იკვეთება, რასაც ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია.

2018 წლის 20 აგვისტოს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს 1 წლით შეეზღუდა ახალი სტუდენტების მიღება, რის მიზეზადაც სახელმწიფოს მიმართ უნივერსიტეტის დავალიანება დასახელდა. სამართლებრივი დავის პირობებში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სტუდენტების უფლებებს, რომლებსაც მოულოდნელად შეეზღუდათ განათლების უფლება. 2018 წლის ოქტომბერში საგადასახადო დავა შეწყდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა 735 000 ლარი გადაიხადა და შემოსავლების სამსახურმა სარჩელი უკან გაიხმო. 2018 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტს კვლავ აღუდგა პირველკურსელთა მიღების უფლება.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სამართლიანი და შესაბამისი გარემო შექმნას ბიზნესკომპანიების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. ასევე დროულად და სრულყოფილად იქნეს იდენტიფიცირებული შესაძლო ფინანსური ვალდებულებები, რათა მყისიერმა და აგრესიულმა რეაგირებამ არ გამოიწვიოს სამომავლოდ დასაქმებულთა თუ შესაბამე პირთა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა.

სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, გადაჭრას თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემები.

ბოლო წლებში თვალშისაცემია სხვადასხვა ნეონაციონალური/ფაშისტური დაჯგუფებების ძალადობრივი ქმედებები და დემონსტრაციები, რომლებიც ლიბერალური შეხედულებების მქონე ჯგუფების, უცხოელების, უმცირესობების მიმართ აგრესიული, შეუწყნარებელი დამოკიდებულებით გამოიჩინება. სახელმწიფო არ ახდენს სათანადო რეაგირებას ასეთი დაჯგუფებების კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივ ქმედებებზე.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე არასათანადო სამართლებრივი რეაგირების პრაქტიკა, რაც განსაკუთრებით მწვავედ სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ძალადობრივი შემთხვევებისას გამოვლინდა, საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობის დარღვევას, ქსენოფობიური და ძალადობრივი განწყობების გაზრდას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში სახელმწიფომ გაიაზროს საკუთარი როლი და ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებითა და რეაგირებით, ასევე - ტოლერანტობისა და თანასწორობის მხარდამჭერი ოფიციალური

განცხადებებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, აჩვენოს საზოგადოებას მზადყოფნა დემოკრატიული, უსაფრთხო და შემწყნარებლური პოლიტიკური გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

ვიტალი საფაროვის მკვლევლობა

2018 წლის 30 სექტემბერს თბილისში 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი მოკლეს. საფაროვი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩართულობის და განვითარების ცენტრში მუშაობდა. იგი მრავალი წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული მოზარდების ტოლერანტული ბანაკების ორგანიზებაში და სხვა პროექტებში, რომელთა მიზანი იყო რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩართულობის და განვითარების ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ვიტალი საფაროვთან კონფლიქტისა და მკვლევლობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია იყოს ის, რომ საფაროვი ბარში მის თანმხლებ პირებს არ ესაუბრებოდა სახელმწიფო ენაზე. როგორც კონფლიქტის თვითმხილველები აცხადებენ, კონფლიქტის დროს საუბარი ეხებოდა სამშობლოსა და ქართველობას. ამის გათვალისწინებით, ვიტალი საფაროვის წინააღმდეგ ძალადობა, სავარაუდოდ, განხორციელდა ქსენოფობიურ ნიადაგზე, რაც გულისხმობს უცხოელთა ან განსხვავებულ ადამიანთა მიმართ შიშს ან/და სიძულვილს⁴².

უფლებადამცველის მკვლევლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საზოგადოებაში იზრდება სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საფრთხე და სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუციები სრულყოფილად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფენ სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის მოტივის იდენტიფიცირებასა, თუ პრევენციის მექანიზმების შემუშავებას.

ვიტალი საფაროვის ოჯახის სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს. პროკურატურამ ვერ უზრუნველყო დანაშაულის მოტივის სწორად გამოკვება. მკვლევლობის საქმეზე ამ დროისთვის დაკავებულია ორი პირი, რომლებიც ე.წ. ნეონაციისტური დაჯგუფების წევრები არიან. ერთ-ერთ დაკავებულს თავდაპირველად ბრალი წარდგენილი ჰქონდა სსსკ-ის 108-ე მუხლის შესაბამისად. პროკურატურამ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნა⁴³ და ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე გადააკვალიფიცირა, რაც გულისხმობს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო განზრახ მკვლევლობას და სასჯელის სახით 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე დაკავებულ ერთ-ერთ პირს ბრალად ედება დანაშაულის შეუტყობინებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მის ქმედებაში უფრო მძიმე დანაშაულის - მკვლევლობაში მონაწილეობის ნიშნები იკვეთება. არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ბრალდებული უშუალოდ მონაწილეობდა მკვლევლობაში. მისი აქტიური როლი გამოიხატებოდა მსხვერპლისთვის კასტეტის

⁴² ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ჩართულობის და განვითარების ცენტრის მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19703&lang=geo>

⁴³ ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ჩართულობის და განვითარების ცენტრის პრესრელიზი: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19704&lang=geo>

ჩართყვითა და ცემით. ამდენად, მის მიმართ სისხლის საართლებრივი დევნა არა დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, არამედ განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის უნდა მიმდინარეობდეს.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სისტემატურად იკვეთება პროკურატურის მხრიდან ტენდენციური დამოკიდებულება, როდესაც ჭგუფურად ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე გამოძიება არ მიმდინარეობს სათანადო კვალიფიკაციით - დანაშაულის ჩადენა ჭგუფურად. პროკურატურის ასეთი მანკიერი პრაქტიკის არსებობა პირდაპირ მიუთითებს, როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის სისუსტეზე, ასევე სახელმწიფოს ნების დეფიციტზე, ეფექტიანად ებრძოლოს ჭგუფურად ჩადენილ დანაშაულს.

გამოხატვის თავისუფლება

2018 წელს გამოხატვის თავისუფლება არაპროპორციულად შეიზღუდა სხვადასხვა მიმართულებით.

გვანცა დოლუაშვილის საქმე

2018 წლის 3 აგვისტოს გორის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის მოთხოვნა და შეწყვიტა სათემო რადიო „მოზაიკის“ დირექტორის, გვანცა დოლუაშვილის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება. შსს გვანცა დოლუაშვილს ედავებოდა ტროტუარზე წარწერის გაკეთებას, რითაც გამოხატული იყო პროტესტი დავით სარალიძის მკვლელობის გამო. გვანცა დოლუაშვილის მიმართ შსს-მ დაარღვია გამოხატვის თავისუფლება. ადმინისტრაციული ორგანო ითხოვდა მის სამართალდამრღვევად ცნობას და 500-ლარიანი ჯარიმის დაკისრებას, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა⁴⁴.

„აიისას“ საქმე

„აიისა“ წარმოდგენს ქართულ კომპანიას, რომელიც აწარმოებს პრეზერვატივებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიას აეკრძალა კონკრეტული გამოსახულებების გამოყენება საჯარო მორალისა და საზოგადოებაში დამკვიდრებული მწიბრივი წარმოდგენების დაცვის საფუძველზე.

2018 წლის 17 მაისს „აიისას“ დამფუძნებელი ანი გაჩეჩილაძე წვრილმანი ხულიგნობისთვის არამართლობიერად დაჯარიმდა 100 ლარით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ანი გაჩეჩილაძე ჰომოფობიის, ტრანსოფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „აიისას“ სახელით ჰაერში ცისართყელის ფერებში შეღებილი, ჰელიუმით გაბერილი პრეზერვატივების გაშვებას გეგმავდა. შსს-ს წარმომადგენლებმა ანი გაჩეჩილაძე იდეის განხორციელებამდე დააკავეს. გაჩეჩილაძის უფლებები არაპროპორციულად შეიზღუდა. მსგავსი შემლუდვა არ ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმურ მიზანს.

⁴⁴ გრცლად, ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19653&lang=geo>

მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია

2018 წლის 12 მაისს შუალამისას თბილისის მასშტაბით განხორციელდა მასშტაბური სპეცოპერაცია კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“. სამართალდამცველებმა ძალის დემონსტრირებით ჩაატარეს საგამოძიებო მოქმედება, რომელიც როგორც შსს-მ განაცხადა, ნარკორეალიზატორთა დაკავებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული ბრალდებით მართლაც დააკავეს რვა ადამიანი, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ისინი არ დაუკავებიათ „ბასიანში“ საგამოძიებო მოქმედებისას, არამედ - კლუბის ტერიტორიის გარეთ, სამართალდამცავთა კლუბებში შეჭრამდე. საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ადამიანის უფლებების დარღვევით, გამოიკვეთა სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება. სამართალდამცავებმა ძალის დემონსტრირებით დაარღვიეს კლუბში მშვიდობიანი მიზნით მისული ადამიანების უფლებები, რასაც მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების საპასუხო მრავალათასიანი დემონსტრაცია. საქართველოში განხორციელებულ მასშტაბურ საგამოძიებო მოქმედებებს გამოეხმაურა საერთაშორისო მედია⁴⁵.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს, რა შედეგი მოჰყვება საზოგადოებაში განხორციელებულ გაუმართლებელ რეპრესიულ ქმედებებს და ძალის გადამეტებას, რითაც უხეშად ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და რაც არ არის გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა

2018 წლის მაისში პარლამენტის წინ მოეწყო მასობრივი დემონსტრაციები. შეკრებილები აპროტესტებდნენ რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას და 12 მაისს კლუბ „ბასიანში“ სამართალდამცავების მიერ ძალის არაპროპორციულ გამოყენებას.

ამ აქციის პარალელურად, ნეონაცისტური იდეოლოგიის მქონე ჯგუფების მიერ მოეწყო კონტრაქცია, რომლის მონაწილეები აგრესიული გამოხატვით, სიძულვილის ენით ემუქრებოდნენ რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ შეკრებილებს და მათ ნარკოდილერებად და ლგბტ პროპაგანდისტებად მოიხსენიებდნენ. მასშტაბურმა საპროტესტო აქციებმა და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხემ ხელისუფლება შეაშფოთა. პარლამენტის წინ „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ მრავალათასიან მიტინგზე შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია მივიდა და აქციის მონაწილეებს ბოდიში მოუხადა: „*ბოდიშს ვიხდით სამინისტროს ყველა იმ თანამშრომლის სახელით, თუ რომელიმე თქვენგანმა თქვენი უფლებები შელახა*“⁴⁶. მინისტრი აქციის მონაწილეებს ბასიანის თითოეულ ინციდენტზე რეაგირებას და ნარკოპოლიტიკის

⁴⁵ ვრცლად იხ. ბმულზე: <https://www.theguardian.com/music/2018/may/14/georgian-techno-fans-extremists-clash-tbilisi-fight-club-culture>

⁴⁶ ინფორმაცია ვრცლად იხ. ბმულზე: <http://liberali.ge/news/view/36652/giorgi-gakharia-aqtsiaze-gamovida--bodishs-gikhdit>

შეცვლას დაპირდა, იმის სანაცვლოდ, რომ აქციის მონაწილეები მშვიდობიანად დაიშლებოდნენ.

შვილმოკლული მამების საპროტესტო აქცია

ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილი მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა მშვიდობიანი ფორმით აპროტესტებდნენ არაეფექტიან, არაობიექტურ გამოძიებას, რომლის ფარგლებშიც დღემდე ვერ დადგინდა მათი შვილების - დავით სარალიძისა და თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტებზე სიმართლე.

2018 წლის მიწურულს მათ პოლიციელებმა პარლამენტის წინ არ მისცეს კარვების გაშლის შესაძლებლობა. დაფიქსირდა პოლიციელთა მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების და ავტომანქანის ჩხრევის შემთხვევებიც, რა დროსაც მათ აქციის მონაწილეებს ჩამოართვეს კარვები და სხვა ნივთები. შვილმოკლულმა მამებმა აქციის ჩატარების და კარვის გაშლის უფლების რეალიზება მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პარლამენტის შენობის წინ კარვების დადგმით გამოხატეს მათი მხარდაჭერა. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების აქციასაც მოჰყვა სამართალდამცავების მხრიდან დაუსაბუთებელი ხელის შეშლა⁴⁷. საბოლოოდ აქციის მონაწილეებს უფლება მიეცათ, გაეშალათ კარვები.

პარლამენტის წინ საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ზაზა სარალიძე პოლიციელის მხრიდან კარვების დადგმის უკანონო ხელშეშლას ფიზიკურად დაუპირისპირდა, რის გამოც ის დააკავეს. შვილის მკვლელობის საქმეზე სამართლიანი მართლმსაჯულების ძიებაში, შვილმოკლული მამა თავად გახდა ბრალდებული. მას შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წაერთვა და უხეშად დაერღვა ადამიანის უფლებები. ზაზა სარალიძის დაკავებას არასამთავრობო ორგანიზაციები საჯარო განცხადებით გამოეხმაურენ. უფლებადამცველების შეფასებით, შსს-ს მიერ საქართველოს კონსტიტუციის განგრძობადმა და უხეშმა დარღვევამ პარლამენტის წინ ძალადობის ესკალაცია გამოიწვია⁴⁸. ზაზა სარალიძის, მალხაზ მაჩალიკაშვილისა და მათი მხარდაჭერების მიერ პარლამენტის წინ მრავალდღიანი მშვიდობიანი პროტესტის დროს შსს-მ არაერთხელ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციის“ შესახებ, როცა აქციის მონაწილეებს არ მისცა მშვიდობიანი პროტესტის გამოსახატავად კარვის ან/და სხვა კონსტრუქციის მოწყობის უფლება. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საქართველოს სახალხო დამცველმა გააკეთეს მკაფიო განცხადებები, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მსგავსი ქმედება საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა და წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

ზაზა სარალიძის ინტერესებს მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს.

⁴⁷ <http://netgazeti.ge/news/318463/>

⁴⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19712&lang=geo>

ველისციხის ინციდენტი

2018 წლის 16 დეკემბერს დაანონსებული პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალის საპირისპიროდ, გაერთიანებული ოპოზიციის ინიციატივით, თელავში მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაიგეგმა. თუმცა, პოლიციამ თელავში მიმავალი გზების ბლოკირება სოფელ ველისციხესთან მოახდინა ისე, რომ ოპოზიციის წარმომადგენელთა წინასწარ ინფორმირება არ მომხდარა. უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებით, გაერთიანებული ოპოზიციისათვის თელავში მიმავალი გზების გადაკეტვა შეკრების თავისუფლების მორიგი შეზღუდვაა. ქ. თელავში შესვლის აკრძალვით, სახელმწიფომ ოპოზიციის წარმომადგენლებს არამართლზომიერად შეუზღუდა გადაადგილების თავისუფლება და არ მისცა აქციის გამართვის საშუალება. მსგავსი გადაწყვეტილებები ზიანს აყენებს პოლიციის რეპუტაციას, რაც თავის მხრივ მოქალაქეებსა და პოლიციას შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება⁴⁹.

ველისციხესთან ოპოზიციის წარმომადგენლებსა და პოლიციას შორის კონფლიქტის შემდეგ პოლიციამ დააკავა გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე. კირკიტაძის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის 1 ნაწილით დაიწყო, რაც პოლიციის მიმართ, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, წინააღმდეგობას და ძალადობას გულისხმობს. 20 დეკემბერს გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დავით კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა⁵⁰.

გაერთიანებული ოპოზიციისათვის თელავში მიმავალი გზების გადაკეტვის შეფასებისას, უფლებადამცველი ორგანიზაციები ხაზს უსვამენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებულ მოქალაქეთა უფლებას, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ, როგორც ჭერქვეშ, ასევე - გარეთ. კონსტიტუციით გარანტირებულია, ასევე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება. ამავე დროს, აღნიშნული უფლებები არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია მათი შეზღუდვა პროპორციულობის ტესტის გათვალისწინებით. ამავე დროს, თუ შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების საფუძველზე შეზღუდოს აღნიშნული უფლება ისე, რომ არ დაირღვეს არც კერძო პირთა ინტერესები და უფლებები და არც საჯარო ინტერესს მიაღგეს ზიანი⁵¹.

მედის თავისუფლების შეზღუდვა

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის სივრცეში საყურადღებოა „პრიორიტეტების ცვლილების“ მომიზეზებით, გადაცემა „გამომძიებელი

⁴⁹ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19760&lang=geo>

⁵⁰ ინფორმაცია ვრცლად: <http://liberali.ge/news/view/42037/davit-kirkitadzes-tsinastsari-patimroba-sheufardes>

⁵¹ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19760&lang=geo>

რეპორტიორის“ გარე შესყიდვებზე დაუსაბუთებლად გატანის გადაწყვეტილება⁵², რომლის საფუძველზეც ერთ-ერთ რეიტინგულ გადაცემას ეკრძალება სიუჟეტების გაშვება მხოლოდ გახმაურებულ საქმეებზე. „გამომძიებელი რეპორტიორის“ წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ „პრიორიტეტების ცვლილებას“ წინ უძღოდა ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობის შესახებ გადაღებული საგამომძიებო ფილმი - „სისხლში მოსვრილი ბიჭები ხორავას ქუჩიდან“, რომლის ეთერში გასვლას საზოგადოებრივი მაუწყებლისგან სხვადასხვა სახის წინააღმდეგობა შეხვდა. ამასთან, თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა უარყოფითად შეაფასა ფილმი, ეთერში მისი გაშვების საფუძველად სახელმწიფო ინსტიტუციების ჩარევა დაასახელა და პარალელურად, ეთერში გაშვებამდე, თავად მიანოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს ფილმის სამუშაო, დაუსრულებელი ვერსია.

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მედიის თავისუფლება. შემაშფოთებელია, ცალკეულ შემთხვევებში ჟურნალისტებზე თავდასხმისა და ძალადობის ფაქტები⁵³. ერთ-ერთი ფაქტი მოხდა მაშინ, როდესაც „კურიერი“ რეპორტაჟს რკინიგზის ახალი მაგისტრალის მშენებლობის დროს გამოვლენილ დარღვევებზე ამზადებდა, რა დროსაც გადამღებ ჯგუფს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს საქართველოს ოფისის წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. სახელმწიფომ სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტებით უნდა უზრუნველყოს, ხელი არ შეეშალოს მედიისა და მედიის წარმომადგენლების საქმიანობას.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში მიმდინარეობდა აგრესიული წინასაარჩევნო კამპანიის გარემოში. პოლიტიკური ოპონენტები კამპანიის ფარგლებში არაჯანსაღი კრიტიკისას იყენებდნენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ გამონათქვამებს⁵⁴. სამწუხაროდ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საზოგადოებამ ვერ მიიღო ჯანსაღი საარჩევნო გარემო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ადამიანის უფლებების დაცვის, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა არჩევნების მონიტორინგის შედეგად გამოავლინა შემდეგი ხარვეზები: საარჩევნო ადმინისტრაციის პრობლემად კვლავ რჩება საარჩევნო კომისიის წევრების დაბალი კვალიფიკაცია. მათი მხრიდან პროცედურული დარღვევების უმრავლესობა გამოწვეულია არა იმდენად არჩევნების გაყალბების მცდელობით, არამედ არაკვალიფიციურობით და საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნით. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობის გამო საარჩევნო უბნებზე იქმნებოდა დაძაბულობა და ზოგჯერ - კონფლიქტებიც. საარჩევნო კომისიის წევრთა დაბალი კვალიფიკაცია და პროცედურული საკითხების არცოდნა პრობლემას წარმოადგენდა ასევე გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა

⁵² <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19634&lang=geo>

⁵³ მედიის ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19701&lang=geo>

⁵⁴ არასამთავრობო ორგანიზაციები სალომე ზურაბიშვილის ქსენოფობიური განცხადების შესახებ: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19696&lang=geo>

სოფლებში⁵⁵. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, ასევე, პარტიების აგიტატორების გადამეტებული აქტიურობა არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებზე. პრობლემას წარმოადგენს ასევე ის, რომ არ არის კანონმდებლობაში განმარტებული, თუ რა ტერიტორია ითვლება საარჩევნო უბნად და მის მიმდებარე ტერიტორიად. მნიშვნელოვანია, საარჩევნო კოდექსში მკაფიოდ გაიწეროს, რომ არჩევნების დღეს აგიტაცია აკრძალულია არა მხოლოდ საარჩევნო უბანზე, არამედ უბნის მიმდებარე ტერიტორიაზეც. საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობდნენ, ასევე, ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების შემთხვევებზე და მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში უპრეცედენტო მასშტაბის ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვაზე. ეს დაკავშირებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის მიერ გაჟღერებულ გადამწყვეტილებასთან, რომელიც ითვალისწინებდა 600,000 მოქალაქისთვის ჭამში მილიარდნახევარი ლარის ოდენობის ფინანსური ვალდებულებების განულების ინიციატივას, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 2018 წლის დეკემბერში⁵⁶.

2018 წელს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა კანონმდებლობის საფუძველზე და თანამდებობაზე ახალი თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი. 2018 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დახურული საკონსულტაციო შეხვედრის შედეგად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სამი კანდიდატურა წარუდგინა, ერთ-ერთ კანდიდატურად დასახელებული იყო ყოფილი თავმჯდომარე თამარ ჟვანია, რაც საზოგადოების ნაწილის მიერ უარყოფითად შეფასდა. საბოლოოდ თამარ ჟვანია ცესკომ მეორე ვადით აირჩია ცესკოს თავმჯდომარედ.

სპეციალური საჭიროების მქონე (შშმ) პირთა უფლებები

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია - UNCRPD ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად და თანასწორად სარგებლობასა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობას. UNCRPD წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით/გაძლიერებით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შშმ პირთა უფლებაშემლახავი პრაქტიკის შეცვლით. UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს, ებრძოდოს სტერეოტიპებს, არსებულ სტიგმებს და საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ახალი მიდგომებით ჩაანაცვლოს.

⁵⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი - 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ძირითადი ტენდენციები:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19720&lang=geo>

⁵⁶ ინფორმაცია ვრცლად: <http://netgazeti.ge/news/320701/>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება 2013 წელს მოახდინა, დღემდე არსებობს მთელი რიგი გამოწვევები შშმ პირების უფლებების ღირსეულად დაცვის მიმართულებით. 2018 წელს პრობლემები იყო შშმ პირთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, შრომისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის, სოციალური დაცვის უფლებების სათანადო რეალიზების კუთხით. ამასთანავე, ბრკოლდება შშმ პირის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელის დანერგვა. პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ლგბტ პირთა უფლებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპები - თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა - ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპებია. ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესია თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

2018 წელს სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, შეემუშავებინა მკაფიო პრინციპები სქესის შეცვლის პროცედურებისა და მათი ოფიციალური აღიარების შესახებ.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ლგბტ ადამიანების ძალადობისგან დაცვის მექანიზმების ამოქმედება. საზოგადოების დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ ინფორმირებული ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის შესახებ, რაც მნიშვნელოვან კულტურულ პრობლემას წარმოადგენს.

ბოლო წლებში ტრადიციად დამკვიდრდა 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღის აღნიშვნის პარალელურად საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაწესებული ოჯახის სინმინდის დღის აღნიშვნა. 2013 წლიდან საზოგადოების ნაწილი განსაკუთრებული აგრესიულად უპირისპირდება ლგბტ პირთა დასაცავად გამართულ სოლიდარულ აქციებს. 2018 წელს ლგბტ აქტივისტებმა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო აქცია, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, აღარ ჩაატარეს⁵⁷. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული და განსაკუთრებულად დიდ გამოწვევას წარმოადგენს ლგბტ პირთა უფლებების სათანადოდ დაცვა.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები

2018 წელს საქართველოში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებები კვლავ არ იყო დაცული კონკრეტული მიმართულებებით. ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეებისთვის ხშირად მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ენობრივი ბარიერის არსებობა, რაც აფერხებს მათი უფლების სათანადოდ რეალიზებას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

⁵⁷ ინფორმაცია ვრცლად: <http://netgazeti.ge/news/277675/>

ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ხელოვნური ბიუროკრატიული ბარიერების საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში. 2018 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა აწარმოა საქმეები რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით. საქმეები შეეხება მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მოპოვებას. საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების კანონშესაბამისად გადაწყვეტა კვლავ პრობლემად რჩება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის. არადომინანტი რელიგიური ჯგუფები პრაქტიკაში ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს თანასწორუფლებიანობის პრინციპი. რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე უარი და დროში გახანგრძლივებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ადასტურებს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომების არსებობას, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის უფლებებს.

ქალთა უფლებები

მიუხედავად საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებებისა, რომელიც მიმართულია ქალების უფლებების დაცვისა და მათი გაძლიერებისკენ, საზოგადოებაში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. გენდერული უთანასწორობა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე უხეში დარღვევაა. 2018 წელს გახმაურდა სექსუალური შევიწროების პრეცედენტები სამუშაო ადგილებზე, რასაც სამართლებრივი შედეგი მოჰყვა.

2018 წელს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი დადებითად აფასებს შს სამინისტროს მიერ გატარებულ რამდენიმე მნიშვნელოვან სისტემურ და საკანონმდებლო ცვლილებას. გამკაცრდა სანქცია ოჯახში ძალადობის პირველივე შემთხვევაზე.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესრულებული რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა, რომლის მთავარი მიზანია ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტურობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია 2018 წელს, ახალი პროექტის განხორციელების შედეგად, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნა. მართლწესრიგის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობიდან ერთ-ერთია ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება, დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა. ამ ღონისძიებების მიუხედავად, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბების მინიმალიზაცია სახელმწიფოსთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ეფექტიანი პრევენციის უზრუნველსაყოფად 2018 წლის დეკემბერში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომელთა იმპლემენტაცია საკანონმდებლო დონეზე 2019 წელს განხორციელდება. ეს შეეხება მოძალადეებისთვის ელექტრონული სამაჯურების გამოყენების

საკანონმდებლო რეგულაციების ამოქმედებას. ასევე, მნიშვნელოვანია სექსუალური შევიწროების დეფინიციის შეტანა კანონმდებლობაში, პრევენციისათვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომელმაც სხვადასხვა დანესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს უნდა შეუქმნას სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი და უსაფრთხო გარემო, დროულად და საფუძვლიანად გამოიკვლიოს სექსუალური შევიწროების შესახებ არსებული საჩივარი, უზრუნველყოს შესაბამისი პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის შემთხვევაში.

მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა სასჯელაღსრულების დანესებულებებში

პენიტენციურ სისტემაში კვლავ არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების დაცვას ამა თუ იმ სასჯელაღსრულების დანესებულებებში. 2018 წლის 17 დეკემბერს #8 პენიტენციურ დანესებულებაში 40-დღიანი საპროტესტო შიმშილობის შემდეგ პატიმარი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან მას ხშირად ჰქონდა სუიციდის მცდელობა, პენიტენციურმა დანესებულებამ ვერ შეძლო, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და დაეცვა მსჯავრდებულის სიცოცხლე.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ასევე პენიტენციურ სისტემაში მძიმედ დაავადებული მსჯავრდებულების სასჯელისგან გათავისუფლება. მსჯავრდებულები საუბრობენ არასათანადო, არაეფექტიან და დაგვიანებულ ოპერაციულ თუ ამბოლატორიულ მკურნალობაზე.

2018 წელს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ყოფილი შს მინისტრის, ივანე მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სასჯელაღსრულების დანესებულებაში. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც ჩამოთვლილია მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ ჩატარებული გამოკვლევები და დასმული დიაგნოზები. მერაბიშვილის ადვოკატების ინფორმაციით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს აღნიშნული მონაცემების გავრცელებაზე მსჯავრდებულისგან თანხმობა არ მოუპოვებია. კონფიდენციალური ხასიათის სამედიცინო ინფორმაციის გასაჯაროება პენიტენციურმა სამსახურმა მაღალი საჯარო ინტერესითა და პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან აცილებით ახსნა. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებით, თანხმობის გამოხატვის თავისუფლება და კონფიდენციალურობის დაცვა ადამიანის ძირითადი უფლებებია. ამ უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესია ექიმსა და პაციენტს შორის ნდობის დამყარებისათვის, განსაკუთრებით - თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც პატიმარს არ შეუძლია ექიმის თავისუფლად არჩევა⁵⁸.

⁵⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ივანე მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19681&lang=geo>

შრომითი უფლებები და უსაფრთხოება

2018 წელს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულთათვის შრომითი უფლებების შეზღუდვა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დასაქმებულებს შესთავაზა შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული იყო მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესები, ხოლო დასაქმებულთა უფლებები ირღვეოდა და უგულვებელყოფილი იყო საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები. დასაქმებულებმა დარღვეული შრომითი უფლებების აღსადგენად საქალაქო სასამართლოს მიმართეს. მათ სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს⁵⁹.

კვლავ შემამფოთებელია საქართველოში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული გამოწვევები და საფრთხისშემცველი გარემო, სადაც დასაქმებულები სიცოცხლის რისკის ფასად ასრულებენ სხვადასხვა საფრთხის შემცველ შრომას. 2018 წელს 12 მეშახტე დაიღუპა და 9 დაშავდა მომპოვებელ შახტებსა და მალაროებში ძირითადად - დამსაქმებლის მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად. სახელმწიფო ვერ იცავს დასაქმებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. არ არის სათანადოდ გამოხატული სახელმწიფოს ნება, გამოსწორდეს მთელი რიგი პრობლემები უსაფრთხოების კუთხით, შემუშავდეს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მექანიზმები და პოლიტიკა, რათა სათანადოდ იყოს დაცული დასაქმებულთა უფლებები, სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

2018 წლის მდგომარეობით არ არის განერილი სათანადო სტანდარტები საწარმოებში უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. საგანგაშო ვითარებაა სამშენებლო ობიექტებზე, სადაც დამსაქმებელი კომპანიები არ იცავენ შრომის უსაფრთხოებას, არ არსებობს განერილი სტანდარტები და პროცედურები, რომლის საფუძველზეც უნდა სრულდებოდეს სამუშაოები. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს აღნიშნული პრობლემის მასშტაბები, საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგულაციები, უზრუნველყოს როგორც დამსაქმებულთა, ასევე დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება.

ადამიანისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით სახელმწიფოს პასუხი როლი საგანგაშოა. დაცული გარემო ფუნდამენტურად აუცილებელი კომპონენტია, რათა სრულყოფილად იყოს დაცული ადამიანის უფლებები. საქართველოში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კამპანია „იცურე მშვიდად“, რომელიც 2018 წელს დაიწყო ანა დოლიძის, ადამიანის უფლებათა ცენტრის, CENN-ის და პროგრესის ცენტრის ინიციატივით. კამპანიის მიზანია ხელისუფლების პასუხისმგებლობის გამრდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კამპანიის მონაწილე ორგანიზაციები და სამოქალაქო აქტივისტები ცდილობენ, მოხდეს იმ საფრთხისშემცველი ზონების იდენტიფიცირება, რომელსაც სახელმწიფო არ აქცევს ყურადღებას და რომელთან მიახლოებას უამრავი ადამიანების ეწირება⁶⁰.

⁵⁹ ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19668&lang=geo>

⁶⁰ ინფორმაცია კამპანიის ერთ-ერთი აქციის შესახებ:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19700&lang=geo>

ჯანმრთელობის უფლებების დაცვა

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, სახელმწიფოსთვის დღემდე გამოწვევად რჩება სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტებისთვის კვალიფიციური და სრულყოფილი სამედიცინო დახმარების განწევა. ხშირად არ არის უზრუნველყოფილი ექიმის მიერ პაციენტისათვის ახსნა-განმარტების მიცემა, რაც დაკავშირებულია მკურნალობის მიმდინარეობასთან და შესაძლო რისკებთან.

სამწუხაროდ, 2018 წელსაც იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ექიმების შესაძლო გულგრილ და არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას. საყურადღებოა შპს „ლანცეტის“ დირექტორის, ფარმან ჯეირანლის საქმე, რომელიც პაციენტებისგან დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლებისა და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვის ფაქტზე დააკავეს. ფარმან ჯეირანლი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევდა კლინიკა „ლანცეტში“, ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ცენტრის შეფასებით, კლინიკაში შეყვანიდან გარდაცვალებამდე პაციენტებისთვის ჩატარებული მკურნალობა და სამედიცინო მანიპულაციების მთელი ისტორია წარმოებულია კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით, რასაც მოჰყვა ადამიანების სიცოცხლის მოსპობა. აღნიშნული დარღვევები დაადასტურა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომაც⁶¹. თუმცა, 2018 წლის დეკემბერში თბილისის სააპელაციო სასამართლომ ფარმან ჯეირანლის სასჯელი შეუმსუბუქა და ის დამნაშავედ ცნო მხოლოდ გულგრილობის მუხლით. სააპელაციო სასამართლოს ამ განაჩენს წინ უსწრებდა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს გადაწყვეტილება, რითაც კლინიკა „ლანცეტს“ აეკრძალა ადამიანის ორგანოთა გადანერგვის ოპერაციები.

უცხოელთა უფლებები

2017-2018 წლებში დემირელის კოლეჯის პედაგოგის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ ბევრი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ქმედებების მიკერძოებასთან დაკავშირებით. შეიქმნა ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედებები თურქეთის მთავრობის მხრიდან საქართველოს მთავრობაზე პოლიტიკური ზეწოლით იყო განპირობებული. ქართველმა სამართალდამცავებმა ჩაბუქი 2017 წლის 24 მაისს, თურქეთის მხარის მოთხოვნით დააკავეს და მას წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს. ოჯახის წევრები, მათზე თურქეთიდან განხორციელებული მუქარის გამო, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართო. 2018 წლის 19 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ მუსტაფა ემრე ჩაბუქი 1000-

⁶¹ ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა კლინიკა „ლანცეტის“ ყოფილი დირექტორის, ფარმან ჯეირანლის საქმიანობასთან დაკავშირებით: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19518&lang=geo>

ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა. ჩაბუქს 2018 წლის 24 თებერვალს ეწურებოდა საექსტრადიციო პატიმრობის ვადა⁶².

2018 წლის იანვარში თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მუსტაფა ემრე ჩაბუქის მოთხოვნა, მინიჭებოდა ლტოლვილის სტატუსი მას და მისი ოჯახის წევრებს. საქართველოს სახელმწიფომ ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ გააჩინა მაღალი რისკი, რომ ექსტრადირების შემთხვევაში ისინი დაექვემდებარებოდნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დაიცვას უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები და არ ხდებოდეს დაუსაბუთებლად ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირებისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფოს მხრიდან მთავარ გამოწვევად რჩება სიღატაკე, ნორმალური საცხოვრებელი ადგილის არქონა, უმუშევრობის მაღალი დონე, ჯანმრთელობის არაადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სოციალური გათიშულობა. დევნილთა უმეტესობა კვლავ ცხოვრობს სხვადასხვა კომუნალურ ცენტრებში (ყოფილი საჯარო შენობები). ეკონომიკური არამდგრადობა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემაა, მაგრამ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის არქონა დევნილების ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობას უფრო აუარესებს. დევნილობაში ყოფნის მრავალი წლის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ ადაპტაციასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები, ხშირად ეთნიკურად შერეული ოჯახები საცხოვრებლად კვლავაც რჩებიან დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე.

2018 წელს ხშირი იყო კონფლიქტისპირა სოფლებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის უკანონო გატაცების ფაქტები, რასაც თან ახლდა ძალის გამოყენება. საქართველოს სახელმწიფო არ ახდენს სათანადო ეფექტიან რეაგირებას გატაცებული მოქალაქეების უფლებების დასაცავად. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა არსებული გამოწვევების დასაძლევად.

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება

2016 წლის იანვრიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იძიებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სავარაუდოდ ჩადენილ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისს უფლება აქვს, გამოიძიოს მხოლოდ ის დანაშაულები, რაც ჩადენილია სამხრეთ ოსეთში ან/და მიმდებარე ტერიტორიებზე 2008 წლის 1

⁶² იხ. დეტალურად ლინკი: <https://www.radiotavisupleba.ge/a/chabuki-tavisufalia/29048106.html>

იგლისიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე, შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე სამი მხარის - რუსეთის, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ან/და საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმოებულ გამოძიებასთან დაკავშირებით არაერთი პრობლემა არსებობს როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, „საქართველოს კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის“ მხრიდანაც არაერთხელ გაჟღერებულა.

სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმოებული გამოძიება სრულიად კონფიდენციალურია, რაც ნიშნავს, რომ გამოძიების მიმდინარეობისა და პროგრესის შესახებ საზოგადოებისათვის, მათ შორის - დაზარალებულებისა და მათი წარმომადგენლებისთვის არავითარი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნისა, უცნობია, თუ რა ეტაპზეა ამჟამად მიმდინარე გამოძიება.

პროკურორის ოფისის მიერ წარმოებულ გამოძიებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სასამართლოსთან თანამშრომლობაზე რუსეთის უარი. უარის პირობებში მაღალია რისკი, რომ პროკურორის ოფისმა ვერ აწარმოოს სრულყოფილი გამოძიება. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც რუსეთი არ არის რომის სტატუტის წევრი სახელმწიფო, მას არ ეკისრება სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება, მაგალითად, როგორცაა გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მიწოდება, ეჭვმიტანილი პირების სასამართლოსათვის გადაცემა, განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოა და ვალდებულია, ითანამშრომლოს სასამართლოსთან. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ რუსეთის, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის, ანდა საქართველოს მოქალაქეების მიმართ დაკავების ორდერის გამოცემის შემთხვევაში, მართლმსაჯულების წინაშე მხოლოდ საქართველოს მოქალაქე წარსდგეს, რადგან საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოსთვის მისი მოქალაქის გადაცემის ვალდებულება ექნება.

პრობლემას წარმოადგენს, ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა მიმდინარე გამოძიების შესახებ ომით დაზარალებულ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ საქართველოში სასამართლოს ადგილობრივი წარმომადგენლობა გაიხსნა, ოფისი არსებითად შეზღუდულია ფინანსური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, რის გარეშეც ვერ ახერხებს სრულფასოვან ფუნქციონირებას, მათ შორის, ინტენსიური ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას ომით დაზარალებულ მოსახლეობასთან. ეს კი უარყოფითად აისახება დაზარალებულების მოტივაციაზე, პროცესში მათ ეფექტიან ჩართვასა და სასამართლოსთან თანამშრომლობაზე.

ავგისტოს ომთან დაკავშირებული საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავის მხრივ, იხილავს სახელმწიფოთაშორისო საჩივარს, რომლის მიხედვითაც საქართველო ამტკიცებს, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთმა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფმა სეპარატისტულმა ძალებმა განახორციელეს დისკრიმინაციული და

არაპროპორციული თავდასხმები საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობაზე, რამაც გამოიწვია ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, სიკვდილი, პატიმრობა ან გაუჩინარება. ათასობით მოქალაქემ დაკარგა ქონება და მათი სახლები განადგურდა, ათასობით მოქალაქე იძულებული გახდა, დაეტოვებინა სახლები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია თუ არა ევროკონვენციის ის მუხლები, რითაც გარანტირებულია სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, საკუთრების უფლება და გადაადგილების თავისუფლება.

ცხინვალში მცხოვრები პირები, თავის მხრივ, შეტანილ საჩივრებში მიუთითებდნენ, რომ 2008 წლის ომის ფარგლებში საქართველოს მოქმედებებმა საფრთხე შეუქმნა მათ სიცოცხლეს და გამოიწვია მათი საკუთრების დაზიანება. 2018 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგვისტოს ომის 2 საქმე - „კუდუხოვა საქართველოს წინააღმდეგ“ და „ნანიევა და ბაგაევი საქართველოს წინააღმდეგ“ - დაუშვებლად სცნო, კიდევ ერთი, „ჭიოევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - ნაწილობრივ დაუშვებლად სცნო. აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ ვერ შეძლო დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, არსებული საქმის მასალების საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას ეთხოვა მხოლოდ ერთ სარჩელში ასახულ პრეტენზიებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარდგენა.

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

ადამიანის უფლებათა ცენტრი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების შეფასებებზე, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტებია გაკეთებული სხვადასხვა მიმართულებით.

საყურადღებოა, Human Rights Watch-ის მიერ 2018 წლის 13 აგვისტოს გამოქვეყნებული ანგარიში⁶³, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო კვლავ იყენებდა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მკაცრ მეთოდებს ნარკომომხმარებელთა სისხლისამართლებრივი დევნისთვის იმ პირობებში, როდესაც მკურნალობის შესაძლებლობები შეზღუდული რჩება. შემამფოთებელია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ექვემდებარება იძულების გამოყენებით ნარკოტესტზე შემოწმებას. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო 2018 წელსაც, ასევე ხშირი იყო საპროცესო გარიგებების დადების შემთხვევები. საყურადღებოა, რომ 2018 წელს ნაწილობრივ შეინიშნებოდა ლიბერალიზებული ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება, მაგრამ შედეგის თვალსაზრისით, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. სამწუხაროდ, საკანონმდებლო სანქციები კვლავ მკაცრი რჩება, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეემუშავებინა უფრო ეფექტიანი ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებული

⁶³ იხ. Human Rights Watch-ის 2018 წლის 13 აგვისტოს ანგარიში: <https://www.hrw.org/news/2018/08/13/georgia-severe-toll-abusive-drug-laws>

პოლიტიკა, მკაცრი კრიმინალიზაცია არ არის გამოსავალი ვითარების გაუმჯობესებისთვის.

2018 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა⁶⁴, სადაც საუბარია საპროკურორო საბჭოს მონყობასა და ფუნქციებთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიის დასკვნაში მკაფიოდ არის ასახული მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების საჭიროება. დასკვნის თანახმად, მნიშვნელოვანია, სასამართლოს და პროკურატურის სისტემების რეფორმის პროცესი გახდეს უფრო ყოვლისმომცველი, რეალურ გამოწვევებსა და პრობლემებზე ორიენტირებული და დროული. დოკუმენტში, ასევე, საუბარია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც აუცილებელია, საბჭოს ყველა გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული. კანონით დადგინდეს ზოგადი მოთხოვნა საბჭოს სხდომების ღიად გამართვის შესახებ და სხვა. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია პროკურატურის დეპოლიტიზების აუცილებლობაზე, ასევე საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესზე, რომელიც ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანონპროექტს და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული რეკომენდაცია, რომ საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში აუცილებელია, მძლავრად იყოს წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მე-2 ტურის მოსამზადებელი პერიოდი. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) ანგარიშში⁶⁵ აღნიშნავს, რომ მეორე ტურის მოსამზადებელ პერიოდში დაფიქსირდა ცალკეული ძალადობრივი ინციდენტები. ჩატარდა რამდენიმე ანტიოპოზიციური და ანტისამთავრობო დემონსტრაცია, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ოპონენტთა შორის არსებული დაძაბულობა. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უარყოფითი, ხისტი და ზოგჯერ ძალადობრივი რეტორიკის დომინირება, რაზეც არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ მოუხდენია რეაგირება. კამპანიის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები და გაკეთდა განცხადება რამდენიმე სოციალური თუ ფინანსური პროგრამის დაწყების შესახებ. კერძოდ კი, სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარესთან დაკავშირებული ფინანსური ორგანიზაციის მიერ 600 000 მოქალაქისთვის ვალების ჩამოწერის შესახებ. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია არასრულყოფილ საარჩევნო კანონმდებლობაზე, რომელიც არ არეგულირებს საკმარისად არჩევნების მეორე ტურის გასამართად აუცილებელ საკანონმდებლო ჩარჩოს. საყურადღებოა ევროპარლამენტის საპარლამენტო ასამბლეის (EP) დელეგაციის ხელმძღვანელ, ლაიმა ლიუსია ანდრიკიენის შეფასება⁶⁶ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ევროპარლამენტარის ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება, როდესაც ირაკლი კობახიძემ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ფაშიზმის

⁶⁴ იხ. ვენეციის დასკვნა სრული სახით:

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e)

⁶⁵ OSCE/ODIHR ანგარიში: <http://cesko.ge/res/docs/OSCEODIDRReportgeo.pdf>

⁶⁶ ევროპარლამენტარის შეფასება: <http://pirveliradio.ge/?newsid=115440>

ხელშემწყობები უნდა⁶⁷. ევროპარლამენტარმა ხაზგასმით აღნიშნა: „არ შეიძლება, არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციებს ფაშიზმის ხელშემწყობი ეძახონ. საქართველოს მოქალაქეები არ იმსახურებენ ასეთ სიტყვებს. ახალგაზრდა დემოკრატის სჭირდება თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ენდობიან, იცავენ და მხარს უჭერენ მის მნიშვნელოვან მუშაობას“.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეხმაურა ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი განცხადებით⁶⁸, რომელშიც აღნიშნულია, რომ არჩევნები წარმართა თავისუფალ გარემოში, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აგრძელებს საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე დაკვირვებას.

2018 წელს აშშ-ის საელჩოს ყურადღების ცენტრში მოექცა ბოლო წლებში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები. განცხადებაში ყურადღებაა გამახვილებული გამჭვირვალე დამოუკიდებელი საგამოძიებო პროცედურების არსებობის აუცილებლობაზე, გამჭვირვალე დისციპლინურ სამართალწარმოების უზრუნველყოფაზე, რაც გაზრდის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.⁶⁹

2018 წელი დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით შეაფასა ანალიტიკურმა კვლევითმა კომპანია The Economist Intelligence Unit-მა. დემოკრატიის ინდექსის კვლევის თანახმად⁷⁰ 2018 წელს საქართველს დემოკრატიის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდა და სახელმწიფო ჰიბრიდული რეჟიმის კატეგორიაში რჩება.

2018 წელს Amnesty International-ის განცხადებით⁷¹, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არსებობა. განცხადებაში საუბარია ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმეზე, სადაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დამოუკიდებელი ეფექტიანი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარება. განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია, ასევე, თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე, სადაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საქმის გამოძიება დროულად და ობიექტურად, რაც ერთმნიშვნელოვნად ასუსტებს საზოგადოების ნდობას საგამოძიებო უწყებებისადმი.

2018 წლის 25 აპრილს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ყოველწლიური დიალოგის მეთერთმეტე რაუნდი გაიმართა. ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და გამოთქვა შემოთქმა 2018 წელს თებერვალში, ცხინვალში, პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით; ევროკავშირის

⁶⁷ პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების შესახებ ინფორმაცია იხ. ბმულზე: <http://liberali.ge/news/view/39941/kobakhidze-samtsukhara-rom-NGOebis-natsili-fashizmis-tanamonatsilea>

⁶⁸ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება: <https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2018/11/287714.htm>

⁶⁹ აშშ-ის საელჩოს განცხადება: <https://ge.usembassy.gov/statement-of-the-u-s-embassy-on-judicial-reform-may-18/>

⁷⁰ იხ. სტატია <http://netgazeti.ge/news/333067/>

⁷¹ იხ. Amnesty International-ის განცხადება: <https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5686172018ENGLISH.pdf>

შეფასებით განსაკუთრებულად გაუარესდა მდგომარეობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, კერძოდ, განსაკუთრებით - ეთნიკური დისკრიმინაციის, თავისუფალი გადაადგილების, საკუთრების უფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ასევე - იმ მუდმივი დაბრკოლებების შესახებ, რაც ექმნებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლების განხორციელებისას.

ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, გაგრძელებს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელებას, მათ შორის - კერძო სექტორში. დიალოგის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულება რელიგიური აღმსარებლობის, მრწამსის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან რაიმე სხვა ნიშნის მიუხედავად.

ევროკავშირმა მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი მიღებულია და მოუწოდა საქართველოს, გააძლიეროს სოციალური დიალოგი ქვეყნის შიგნით და განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან“.

ევროკავშირმა აღნიშნა, რომ ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის საკითხში. ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, გაგრძელებს მუშაობას ისეთი საგამოძიებო მექანიზმის მისაღებად, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და გამოიძიებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საგარაუდო დარღვევებს⁷².

⁷² იხ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მეთერთმეტე ყოველწლიური დიალოგი, ბრიუსელი 25/04/2018
file:///C:/Users/iurist/Downloads/eeas_-_evrokavshirsa_da_sakartvelos_shoris_adamianis_uplebata_dacvis_speroshi_metertmete_qovelcliuri_dialogi_gaimarta_-_2018-05-01.pdf